ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია

მარიამ ხარძიანი

# სარკაზმი და ირონია პოლიტიკურ საავტორო ტელეტექსტში

ნაშრომი შესრულებულია ჟურნალისტიკის ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მანანა შამილიშვილი

პროფესორი

თბილისი

2023

# სარჩევი

ანოტაცია ..... 3

შესავალი ..... 4

**თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა**..... 7

**თავი 2. კვლევის დიზაინი** ..... 16

2.1. კვლევის მეთოდოლოგია ..... 20

2.2 რიტორიკული ანალიზი ..... 23

**თავი 3. კვლევის შედეგები** ..... 26

3.1. „იმედის კვირა“ ..... 26

3.2 „გიორგი თარგამაძის ფორმულა“ ..... 37

3.3 „ღამის მთავარი“ ..... 49

ძირითადი მიგნებები ..... 57

დასკვნა ..... 58

რეკომენდაციები ..... 62

ბიბლიოგრაფია ..... 64

# ანოტაცია


წინამდებარე ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს რამდენად არის თანამედროვე ქართულ ტელესივრცეში, კერძოდ, საავტორო გადაცემებში სარკასტული თუ ირონიული დამოკიდებულება და წარმოადგენს თუ არა ეს ხელისუფლების და სხვა პოლიტიკოსთა მაკრიტიკებელ საშუალებას.

საქართველოში ინფორმაციის მიღების გზათა შორის, მედიის ტრადიციული საშუალება, ტელევიზია კვლავ ლიდერობს. ამას მოწმობს სარეკლამო კომპანია, "Betterfly Media" , რომელიც მსოფლიოში დამკვიდრებული ტექნოლოგიის „ფიფლმეტრის“ მეშვეობით სატელევიზიო აუდიტორიას იკვლევს. სწორედ მათი ინფორმაციით ირკვევა, რომ 2021-2022 წლებში ტელევიზორი კვლავ ინფორმაციის მიღების ერთ-ერთი პოპულარული საშუალებაა. შესაბამისად, სატელევიზიო სივრცეში არსებული რეალობის კვლევა ერთი-ორად მნიშვნელოვანს ხდის ნაშრომის ღირებულებას.

კვლევის ამოცანაა, სამი ტელემედიის - „იმედის“, „მთავარი არხისა“ და „ფორმულას“ საავტორო გადაცემებზე - „იმედის კვირა“, „ღამის მთავარი“ და „გიროგი თარგამაძის ფორმულა“ დაკვირვებით გაირკვეს, როგორ პოზიციონირებენ თანამედროვე ქართულ ტელესივრცეში პოპულარული საავტორო ტელეტექსტები, აქვთ თუ არა მათ ირონიული ან სარკასტული დამოკიდებულება ხელისუფლების მიმართ და როგორ ვლინდება ეს ვერბალურ მახასიაებლებში. ამავდროულად, მნიშვნელოვანია გაირკვეს, გადაცემის წამყვანები როგორი ტიპის კომუნიკაციას ანიჭებენ უპირატესობას.

კვლევის შედეგად გამოიკვეთება:- მიმართავენ თუ არა ქართველი ტელეწამყვანები ირონიულ ხერხებს ხელისუფლებისა და სხვა პოლიტიკოსთა მაკრიტიკებელ საშუალებად, იყენებენ თუ არა ისინი საავტორო გადაცემებს მიზანმიმართულად სუბიექტური აზრის გამავრცელებელ საშუალებად, რა რიტორიკულ ხერხებს იყენებენ ხელისუფლებისა და სხვა პოლიტიკოსთა გასაკრიტიკებლად ტელეტექსტებში და რამდენად ეთიკურია მათი ვერბალური კომუნიკაცია.

კვლევით დადგინდა, რომ ქართულ საავტორო გადაცემათა წამყვანები ვერბალურ კომუნიკაციაში ირონიულ და სარკასტულ დამოკიდებულებას ხშირად ავლენენ. ასევე, ზემოხსენებულის გამოყენება ხდება, როგორც ხელისუფლების მხილებისა თუ კრიტიკის მიზნით, ისე მიზანმიმართული სუბიექტური აზრის გავრცელებისთვისაც, რაც პოლიტიკურ შეხედულებათა წარმოჩენას ისახავს მიზნად, ამის გადმოსაცემად კი სხვადასხვა რიტორიკულ ხერხს მიმართავენ.

საავტორო გადაცემებში, წამყვანთა ვერბალური კომუნიკაციის მახასიათებლების შესასწავლად კვლევის შემდეგი მეთოდია გამოყენებული: რიტორიკული ანალიზი და თვისებრივი კონტენტ-ანალიზი.

საკვლევი პერიოდი: 2023 წლის 1-ელი იანვარიდან 31 მარტის ჩათვლით.

## შესავალი

სატელევიზიო სისტემა კაცობრიობის ისტორიაში მე-19 საუკუნიდან, ელექტრომექანიკური მოწყობილობის სახით გამოჩნდა და განვითარების დიდი გზა განვლო. 21-ე საუკუნის ადამიანისთვის კი იქცა ინფორმაციის მიწოდების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად, რომელიც სოციუმის ყველა  წევრზეა გათვლილი, განურჩევლად ასაკისა, სქესისა თუ რასისა. სიტვისა და გამოსახულების შერწყმამ, ინფორმაცია უფრო თვალსაჩინო და მარტივად აღსაქმელი გახადა.

„ტელევიზია საზოგადოებისთვის ინფორმაციისა და კულტურის მთავარი მიმწოდებელია და, ამავე დროს, ტოტალურ გავლენას ახდენს მთელი თანამედროვე კულტურის განვითარებაზე“ (იბერი, ე. 2016. გვ. 295).  ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური პროცესები საზოგადოებისთვის მედიის წარმომადგენელთა მეშვეობით ხდება ცნობილი. მასებზე მუშაობისა და გავლენის მოხდენის საუკეთესო საშუალებას მედია წარმოადგენს. ამიტომ, მნიშვნელოვანია იმ გადაცემათა მონიტორინგი, რომელთაც ფართო აუდიტორა

ჰყავთ. დაკვირვების საჭიროებას ერთი-ორად ზრდის მათი პოლიტიკურ საავტორო გადაცემათა ჯგუფისთვის მიკუთვნება, რადგანაც წამყვანებს, ვერბალური კომუნიკაციის მეშვეობით, საზოგადოებისთვის მრავალი წარმოდგენის შექმნა შეუძლიათ, მათ შორის უარყოფითისაც, სუბიექტურობისა და მიკერძოებულობის შემთხვევაში. აღსანიშნავია მისურისა და სტენფორდის უნივერსიტეტის მეცნიერთა დასკვა, რომელიც 1986 წლით თარიღდება. აღნიშნულის მიხედვით, ადამიანის რეფლექსზე საუბრის გარდა მთელი რიგი ფაქტორები ახდენს გავლენას, მათ შორის რაკურსის გასწორება და განათებაც კი.

”რომ არა სატელევიზიო სივრცე ადამიანის ინფორმირებას მსგავსი მაშტაბულობით მარტო ბეჭდური პრესა, რადიო და ინტერნეტსივრცე ვერ მოახერხებდა“ ( კიკაბიძე, მ. 2015. გვ. 2). პოლიტიკური თემატიკა განსაკუთრებით სწრაფად ილექება ადამიანის ქვეცნობიერში, მითუმეტეს თუ ინდივიდისთვის ეს საკითხი მნიშვნელოვანია. მედია არ არის მხოლოდ ინფორმაციის გადაცემის საშუალება, ის საზოგადოების აზრის ფორმირებაში მნიშვნელოვნადაა ჩართული. ჟურნალისტების მიერ გადაცემული ინფორმაცია დიდ გავლენას ახდენს სამიზნე აუდიტორიის დამოკიდებულებაზე. ტელევიზიით განხილულ მრავალ საკითხთა შორის, ერთ-ერთი პოლიტიკური თემატიკაა, რომელიც ხელისუფლების კრიტიკასა და რიგ შემთხვევაში, მათ მხილებას ისახავს მიზნად.

საქართველოში, პოლარიზებული მედია ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა, რაც ინფორმაციის გავრცელების თვალსაზრისითაც ვლინდება. სახელმწიფოში მიმდინარე პოლიტიკური ცვლილებები არა მხოლოდ ინფორმაციული თვალსაზრისით გახდა მედიის წარმომადგენელთათვის მნიშვნელოვანი, არამედ ურთიერთდაპირისპირების თვალსაზრისითაც. სწორედ, ამ სოციოპოლიტიკური ფონის დამსახურებაა ისიც, რომ საზოგადოება მედიათა ნაწილს სახელისუფლებო, ნაწილს კი ოპოზიციურ ტელეარხთა რიცხვს მიაკუთვნებს. „ქვეყნის სახეს სწორედ, რომ ტელევიზია წარმოადგენს. ვერცერთი საინფორმაციო საშუალება ვერ შეძლებდა სახელმწიფოში საზოგადოების ფორმირებას სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი პროექტით და მათი კულტურულ-პოლიტიკური სახის

ჩამოყალიბებას, ისე, როგორც ეს ტელევიზიამ თავისი ისტორიის მანძილზე რამდენიმე ქვეყანაში შეძლო“( კიკაბიძე, მ. 2015. გვ. 6).

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, მედიას ერთი-ორად ეზრდება პასუხისმგებლობა პირნათლად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა, რომელსაც პროფესიული სტანდარტები უწესებს. პოლიტიკური კრიზისისა და პოლარიზების დონის მატებისას კი საზოგადოებისთვის უნდა იყოს ინფორმაციის მიწოდების ობიექტური საშუალება. თუმცა, კვლევამაც აჩვენა, რომ რაც უფრო კრიზისულია მდგომარეობა და გააქტიურებული პოლიტიკური დაპირისპირება, მით უფრო პოლარიზებული ხდება ქართული მედიასივრცეც. ზემოხსენებულის ფონზე, აქტიურდება საავტორო გადაცემებში წამყვანების შეხედულებათა წარმოჩენა სარკაზმის, ირონიისა თუ ქილიკისა და არაეთიკურობის მეშვეობით. რიგ შემთხვევებში, წამყვანის მიერ დასმული პოლიტიკური აქცენტები მიზნად ისახავს გარკვეული გზავნილის მაყურებლამდე მიტანას. ”მაყურებელზე ზემოქმედების ხერხებმა სატელევიზიო სივრცეში ხშირი ხასიათი მიიღო, ქვეყნისთვის საჭირო და არა საჭირო ინფორმაციის გავრცელების სახით“ (კიკაბიძე, მ. 2015. გვე. 83).

აღსანიშნავია, წამყვანების სარკასტული თუ ირონიული კომუნიკაცია, რასაც მიზანმიმართული სუბიექტური აზრისა და კრიტიკის გასამძაფრებლად იყენებენ. ირონია და სარკაზმი იარაღია, რომელთა გამოყენებაც ზეპირ და წერილობით კომუნიკაციაშია შესაძლებელი. მათთვის ენის კარგად ფლობა და კომუნიკაციის გარკვეული უნარებია საჭირო. ირონიის ცნება, ჯერ კიდევ, ანტიკური ხანიდან იღებს სათავეს და დღემდე პოსტმოდერნისტულ ტექსტებში ირონიული აზრის წარმოჩენის 23-მდე ინტელექტუალურ ხერხს მოიაზრებენ. ხოლო, კომუნიკაციისა და ინფორმაციის გამავრცელებელთაგან, ვინ თუ არა, მედიაც ხშირად იყენებს ამ ხერხთაგან რამდენიმეს. სარკაზმისა და ირონიის მეშვეობით გადმოცემულმა სათქმელმა რომ ადრესატამდე მიაღწიოს გამგზავნისა და მიმღების არსებობაა საჭირო. მედიის შემთხვევაში, გადაცემის წამყვანი გამგზავნის ამპლუაშია, ხოლო მიმღების როლს მაყურებელი ირგებს. საავტორო გადაცემათა

წამყვანები, მაგალითების, ალუზიების, მეტაფორების, რიტორიკული შეკითხვებისა თუ ალეგორიული შინაარსის შემცველი ციტატებით ცდილობენ აუდიტორიამდე სათქმელის მიტანას, სადაც ცალსახად მხილებულია ხელისუფლება, როგორც  გასაკრიტიკებელი ობიექტი ან პოლიტიკოსი, რომელიც ხელისუფლების ინტერესებს აზარალებს და საფრთხეს უქმნის მას. აქაც მნიშვნელოვანია, რომელი მედიის წარმომადგენელზეა საუბარი. ჩვენ  შემთხვევაში, დაკვირვების ქვეშ მყოფ „იმედს“ თუ ავიღებთ მაგალითად, საკვლევი ობიქტი „იმედის კვირა“ და მისი წამყვანი- ირაკლი ჩიხლაძე ხელისუფლების ინტერესთა უგულებელმყოფთ აკრიტიკებს, „ფორმულა“ და „მთავარი არხი“ კი პირიქით, ხელისუფლების გაკრიტიკებას ცდილობს, რასაც კვლევის სხვა თავებში უფრო თვალსაჩინოდ წარმოგიდგენთ.

ბუნებრივია,ზემოხსენებულის გათავალისწინებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რეიტინგული  საავტორო გადაცემების  წამყვანების  კომუნიკაცია ვიკვლიოთ, რადგან მათი გზავნილები ქმნიან საზოგადოებრივ  განწყობებს, ეს განწყობები კი ზემოქმედებენ პოლიტიკურ კლიმატზე.

# თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა

კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე ინდივიდები ერთმანეთთან ურთიერთობას კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებით ახერხებდნენ. წინარეისტორიული ხანიდან, 21-ე საუკუნემდე საზოგადოებამ, განვითარების თვალსაზრისით, მრავალი ცვლილება განიცადა, თუმცა სიტყვის ძალამ მნიშვნელობა არ დაკარგა და უფრო მეტიც, ისე განვითარდა, რომ დამპყრობლური პოლიტიკა საუბრითა და სიტყვიერი შეთანხმებით ჩაანაცვლა. სწორედ, ამ განვითარების შედეგია სიტყვისა და სათქმელის ისე შეფუთვა, რომ პიროვნება მისმა ორაზროვნებამ დააბნიოს, ან პირიქით სიმართლე პირდაპირ უთხრას. ამის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება ირონია და სარკაზმია, რომლის 32 სახეობა

არსებობს და ის სათავეს ჯერ კიდევ ანტიკური საბერძნეთიდან იღებს. მას ისტორიის მნიშვნელოვან პირთაგან თითქმის ყველა მიმართავდა კომუნიკაციის დროს და მიმართავს დღესაც, მათ შორის მედიის წარმომადგენლებიც. კომუნიკაციაში დახელოვნებულ ადამიანებს, რომელთაც ყოველდღიურად რაღაც ახალი აქვთ სათქმელი სარკაზმისა და ირონიის ძალაზეც არ უთქვამთ უარი. დღევანდელ რეალობაში, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ინტერნეტი და ნებისმიერი წერტილიდანაა სასურველი ინფორმაციის მიღება შესაძლებელი, მედიის ტრადიციული და ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი საშუალება - ტელევიზია კვლავ პოპულარობით სარგებლობს. მედიისადმი ინტერესი და მისი ყურებადობა ერთი-ორად ზრდის ინტერესს მათ მიერ გადმოცემული ამბების შინაარსსა და მიწოდების ფორმაზე. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია რელევანტური ლიტერატურის მეშვეობით განისაზღვროს, როგორც სარკაზმისა და ირონიის როლი თუ მნიშვნელობა, ისე მედიის კავშირი ზემოხსენებულთან.

უცხო სიტყვათა ლექსიკონში ირონია განმარტებულია როგორც აზრის გამოთქმა დაცინვის მიზნით, ხოლო სარკაზმი ირონიის მწვავე სახედა და ღვარძლიან დაცინვადაა მიჩნეული. ზემოხსენებულის მიუხედავად, ირონიის ცნების განმარტება არცთუ ისე მარტივია. ეს კი განპირობებულია იმით, რომ თითოეულ ეპოქაში მოღვაწე მოაზროვნეები მას სრულიად განსხვავებულად განმარტავდნენ. ანტიკურობიდან დაწყებული 21-ე საუკუნემდე ირონიის, როგორც კულტურული ფასეულობის ისტორიული განვითარება განსხვავებულ ტიპოლოგიას მოიცავს. დაწყებული ისტორიის მამამთავრად აღიარებული სოკრატეთი, რომელიც ირონიას მორალური სრულყოფილებისა და შემეცნების საუკეთესო საშუალებად მიიჩნევდა და დამთავრებული ჰეგელისა თუ პოსტმოდერნისტული შეხედულებებით, ირონიის ცნების განმარტება ერთი-ორად ძნელდება. აზროვნების ინდივიდუალურმა სტილმა საფუძველი დაუდო ისეთ სამეცნიერო თუ სალიტერატურო ნაშრომთა შექმნას, სადაც ირონია ორაზროვნების, დაცინვის, პარადოქსულობისა და ადამიანური ყოფის სარკასტულად დასურათხატების საუკეთესო საშუალებაა. მას ვხვდებით, როგორც ნიცშეს ნიჰილისტური ირონიის სახით, ისე რომანტიკული ან განმანათლებლობის სატირული ისტორიის სახით. რადგანაც ის გამოხატვის ერთ-ერთ მრავალნაცად და ამავდროულად,

შეუცვლელ მეთოდს წარმოადგენს. დიდ მოღვაწეთა შორის, არც მედიის წარმომადგენლები ამბობენ უარს, რომ სარკაზმისა და ირონიის მეშვეობით მიიტანონ სათქმელი მაყურებლამდე.

ირონიის პრაქტიკაში გამოყენება თავდაპირველად, ბერძენმა ფილოსოფოსმა, სოკრატემ დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ მის ნაწერებს ჩვენამდე არ მოუღწევია მასზე მრავალი მეორეული წყაროები არსებობს, მათ შორის პლატონის, არისტოფანესა თუ არისტოტელეს ნაშრომები. ანტიკური წყაროების გარდა, მის ფილოსოფიურ შეხედულებებზე მრავლად დაწერილა, რომელთა შორის ერთ-ერთია სარა მონოსონისა და მისი თანაავტორების მიერ გამოქვეყნებული ტექსტი „სოკრატე“, რომელიც სტენფორდის უნივერსიტეტის მეტაფიზიკის კვლევის ლაბორატორიაში 2022 წლის ზაფხულის გამოცემაში დაიბეჭდა. ტექსტში ნახსენებია, რომ ძვ. წ 469-399 წლებში მოღვაწე ფილოსოფოსი ხშირად იყენებდა ირონიას სოფისტებთან კამათის მიზნით. ამას, ბერძენი ფილოსოფოსი, საკუთარ თავში დარწმუნებული და „ყველაფრისმცოდნე“ სოფისტების დაცინვის მიზნით აკეთებდა, რომ მათი მსჯელობის არამართებულობა საზოგადოებისთვის ეჩვენებინა. ტექსტში საუბარია სოკრატესეულ ირონიაზე, რომელიც ბიმოდალური ხასიათისაა და ფილოსოფოსის მხრიდან, როგორც საკუთარი თავის, ასევე თანამოსაუბრეების დაცინვასაც გულისხმობს. „შეიცან თავი შენი“ და „მე ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი“ სოკრატესეული ფილოსოფიის საწყისებია. ის ირონიის მეშვეობით ცდილობდა ინდივიდი თვითგამორკვევამდე მიეყვანა და ცხოვრებისეული ორიენტირის შეცნობის ხარჯზე მისი ზნეობრივი ფასეულობები წინა პლანზე წამოეწია, თუმცა ამ პროცესში ირონიის მეშვეობით სოციალურ ცვლილებებს კი არ მოუმზადა ნიადაგი, არამედ, პირიქით მათ გადაფასებამდე მივიდა. სტენფორდის უნივერსიტეტის მიერ გამოქვეყნებულ ტექსტში ნახსენებია „ირონიული მაიევტიკა“, რომელიც სოკრატეს ირონიის ერთ-ერთ მთავარ ხერხადაა მიჩნეული. „ირონიული მაიევტიკის“ არსი იმაში მდგომარეობდა, რომ სოკრატე გამიზნულად ირგებდა გულუბრყვილო ადამიანის როლს, რომელსაც ცოდნის მიღება მასზე გამოცდილი ადამიანისგან სურდა. პოლემიკაში შესვლამდე თანამოსაუბრის თვალსაზრისის გაზიარება და შემდეგ ოპონენტის მსჯელობის აბსურდამდე დაყვანა კულმინაციური მომენტი იყო,

რასაც მოჰყვებოდა მოსაუბრის მხრიდან საკუთარი მოსაზრების ეჭქვეშ დაყენება და მის გასამყარებლად სრულიად ახალი პოზიციის მიმხრობა. ირონიის მეშვეობით თანამოსაუბრის პროვოცირება, საკუთარ არგუმენტში დაეჭვება და ხუმრობის გზით ჭეშმარიტებამდე მისვლა ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ნანა ჯალაღონია 2016 წელს გამოცემულ დისერტაციაში- „ირონია, როგორც კომიკურის აქტუალური ფორმა („დათბობის“ პერიოდის ქართულ ბელეტრისტიკაზე დაყრდნობით)“ ირონიის მნიშვნელობასა და გავლენაზე საუბრობს. ირონიასა და სარკაზმს კი მნიშვნელოვან ლიტერატურულ თუ ხელოვნურ იარაღად მიიჩნევს. ის გერმანელი თეორეტიკოსის, იანკეს მონოგრაფზე დაყრდნობით ცდილობს მკითხველს ზემოხსენებულთა მნიშვნელობა დაანახოს. დისერტაციაში საუბარია იანკეს მონოგრაფზე „ირონიის არსი“, რომლის მეშვეობითაც ავტორი ირონიის ორ ძირითად ტიპს გამოყოფს:- ფარულსა და ღია ირონიას. პირველი, ანუ ფარული ირონია, ფრთხილია და იმ ვიწრო კონტექსტიდან ამოდის, რომლის შინაარსიც ბევრისთვის გასაგები არ არის და ჭეშმარიტებას შეფარვით ამბობს. აქ გონება გრძნობებზე მაღლა დგას. ღია ირონიის შემთხვევაში კი, ცნობიერება მეორეხარისხოვანია და წინა პლანს გრძნობები იკავებს. ის ფართო კონტექსტს ეყრდნობა და დაუფარავად აკნინებს ობიექტს. იგი, ასევე, მიმართავს კატეგორიზაციის ხერხს და დამცინავი ირონიის გამოხატვის გზად სოციალურ-კრიტიკულ პათოსს ასახელებს. ხოლო, ღია ირონიის გავრცელებულ სახედ რიტორიკულ ირონიას გვისახავს. საინტერესოა ირონიის განხილვა, როგორც ფსიქოლოგიური ფენომენის. კომუნიკაციის მთავარი მიზანი, მოსაუბრის ემოციური დამუხტვაა, სადაც რეციპიენტი კონტექსტის მეშვეობით იღებს შეტყობინებას. კომუნიკაციის პროცესში მოსაუბრის მეხსიერებაში აღბეჭდილ ინფორმაციაზე აპელირება კულმინაციური მომენტია. სუბიექტისთვის ორაზროვანი მნიშვნელობის კონტექსტით, ფასეულობითი დამოკიდებულების გადმოცემა ხდება. აღსანიშნავია მედიასთან ზემოხსენებულის კავშირი, კერძოდ:- „სწორედ ამ ფსიქოლოგიურ მომენტს ემყარება ჟურნალისტიკაში მასალის პირველადი გაშუქების ფენომენი, რომლის თანახმად, ფაქტის პირველად ინტერპრეტაციას აქვს ყველაზე მეტი შანსი, მყარად დამკვიდრდეს

რეციპიენტის ცნობიერებაში. პირველადი გაშუქების ფაქტი განსაზღვრავს მკითხველის, რეციპიენტის თვალსაზრისს და შემდგომში ძნელად ექვემდებარება შეცვლას“ (ჯალაღონია, ნ. 2016. გვ. 46).

2018 წლის 6 მარტს, კემბრიჯის უნივერსიტეტმა გამოსცა ჯონა გარმენდიას წიგნი - „ირონია“. ავტორი, ტექსტში, ირონიის შესასწავლად ეყრდნობა ისეთ დისციპლინებს, როგორებიცაა: პრაგმატიკა, ფილოსოფია თუ ლიტერატურათმცოდნეობა. ამავდროულად, ავტორი გვთავაზობს სხვადასხვა თეორიულ პერსპექტივებს, მათ შორის  გრაისის მიდგომებსა თუ სპერბერისა და უილსონის ანგარიშებს. იგი ირონიის გამოყენების გზებს განიხილავს და იკვლევს, თუ როგორ შეიძლება ირონიის არასწორად გაგება კულტურულად, არის თუ არა ირონია ყოველთვის უარყოფითი, რატომ ურთიერთობენ ადამიანები ირონიით და რით განსხვავდება ირონია სარკაზმისგან. მე-7 თავში, სარკაზმი და იუმორი ყურადღება ორ საკითხზეა გამახვილებული - ურთიერთობა ირონიასა და სარკაზმს შორის, კავშირი ირონიასა და იუმორს შორის. პირველ შემთხვევაში, ავტორი, ირონიასა და სარკაზმს ორ განსხვავებულ ფენომენად განიხილავს. თუმცა, საკითხს თუ როგორ უნდა განვასხვავოთ ისინი რთულ ამოცანად მიიჩნევს და სხვადასხვა ავტორთა მოსაზრებებს იშველიებს.  ავტორთა უმეტესობა, ამ ცნებათა შედარებისას, ამბობს, რომ სარკაზმი უფრო აგრესიულია და ყოველთვის ჰყავს მსხვერპლი, რომელსაც ნათლად აკრიტიკებს. რაც შეეხება ირონიასა და იუმორს  შორის მსგავსება-განსხვავებებს, ავტორი ზემოხსენებულთაგან პირველს ჩვეულებრივ სასაცილოდ მიიჩნევს და ამის ნათელსაყოფად იუმორის ორ ძირითად თეორიას გვთავაზობს. კერძოდ: შეუსაბამობისა და უპირატესობის თეორიებს. მისი თქმით, იუმორი თავს იჩენს როდესაც რაღაც შეუსაბამობა გვარდება ან როდესაც ვინმესადმი უპირატესობა გვაქვს.  ამ ორ იდეას შეუძლია ახსნას, თუ რატომ მიიჩნევა ირონია სასაცილოდ. ირონიულ კომუნიკაციაში ყოველთვის არის აშკარა შეუსაბამობა და უპირატესობის განცდა, რაც ვინმეს ან რაღაცის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების გამოხატვით ვლინდება. ტექსტი შესაძლებლობას იძლევა ირონია და მისი მონათესავე ცნებები ერთმანეთისგან განვასხვავოთ.

ილონა ქენქაძის აკადემიურ ნაშრომში „ირონიის აღქმისა და დეკოდირების ფსიქოლინგვისტური და პრაგმატიკული პარამეტრები“ ირონიის გააზრებისთვის მოცემულია ლიჩის ლინგვისტურ-პრაგმატიკული ცნება - თავაზიანობა. ის აღნიშნავს, რომ ინტერპერსონალური კომუნიკაციის დროს, მთქმელი და მსმენელი თავაზიანობის სოციუმისათვის მისაღებ წესებს იცავენ. ასეთ შემთხვევაში, მთქმელი ირონიული ნათქვამით აკრიტიკებს ან იწუნებს რაღაცას , ხოლო მსმენელი თავს არიდებს პასუხს. მიუხედავად იმისა, რომ ირონია ენობრივი მოვლენაა, მას ხშირად ახლავს პარალინგვისტური მახასიათებლები, კერძოდ: ინტონაცია, ღიმილი, ჟესტიკულაცია თუ გამოხედვა. ამავე ტექსტში ნახსენებია სარკაზმი, როგორც აგრესიული დამოკიდებულებისა და შურის გამოვლინება. ავტორი მეუკეს მოსაზრებას გვიზიარებს და სარაზმს ირონიის ყველაზე უხეშ ფორმად მოიხსენიებს. აქვე ვხვდებით ამერიკელი ლინგვისტის ჯონ ჰაიმანის შეფასებათა განხილვასაც, რომელიც სარკაზმსა და ირონიას შორის ორ ძირითად განსხვავებაზე გვიყვება. ზემოხსენებულს შემდეგი ფორმულირება აქვს:- „I. ირონიული შეიძლება იყოს, როგორც მთქმელი, ასევე სიტუაცია. სარკასტული კი მხოლოდ მთქმელია. II. ირონია შეიძლება სპონტანური იყოს, ხოლო სარკაზმი ყოველთვის მოიცავს ინტენციას, დაამციროს მსმენელი“ (ქენქაძე, ი. 2014. გვ. 62).

2005 წელს გამოცემულ, გოჩა მსხილაძის აკადემიურ ნაშრომში - „ ირონია როგორც გერმანული რომანტიზმის ძირითადი ესთეტიკური კატეგორია“ საუბარია ირონიის მნიშვნელობასა და მის ფილოსოფიურ-ესთეტიკურ ბუნებაზე. ავტორი, ირონიის ცნების მთავარი არსის თვალსაჩინოდ წარმოდგენისთვის იშველიებს სოკრატეს, პლატონისა თუ კვინტილიანეს შეხედულებებს. სწორედ, ზემოხსენებულ ავტორთა შეფასებებიდან გამომდინარე აღწერს იგი ირონიას, როგორც თამაშსა და დაცინვის ყველაზე ვირტუოზულ ფორმას. ირონია, რიგ შემთხვევებში, ადრესატს დაუნდობლად ესხმის თავს და საზოგადოებას ეხმარება თვალნათლივ დაინახოს პიროვნულ უზნეობასა თუ ყალბ ღირებულებებზე დაშენებული ავტორიტეტი. გოჩა მსხილაძე, ბულგარელი მკვლევარის, პასის შეხედულებასაც გვიზიარებს, სადაც ის ირონიას ხელოვნების სახედა და აზროვნების განსაკუთრებულ წესად მოიაზრებს. აღნიშნულის შემდეგ კი პარალელს ავლებს

სოკრატესთან, რომელიც ირონიას მსოფლმხედველობად მიიჩნევდა. საბოლოოდ, აკადემიური ნაშრომი, ირონიკოსს გავლენიან ადამიანად წარმოაჩენს, რომელსაც შეუძლია დასცინოს ყველასა და ყველაფერს, რადგანაც საზოგადოების მორალური დისპროპორციის შესახებ უკვე დიდი ხანია იცის. აქედან გამომდინარე, ის სიმართლის თქმის სულიერ-ესთეტიკურ საშუალებადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ.

ბრიტანელი ავტორი, ენდრიუ ჰეივუდი წიგნში „პოლიტიკა“, ერთ-ერთ თავში სახელწოდებით - „მასმედია და პოლიტიკური ბერკეტები“ მედიას განიხილავს როგორც პოლიტიკური პროცესების განუყოფელ ნაწილსა და საზოგადოებაზე გავლენის მოხდენის მთავარ საშუალებას. ავტორიტარული მმართველებიც კი იძულებლნი არიან საზოგადოებას ელაპარაკონ. ამას კი ფართომასშტაბიან კამპანიებთნ ერთად მედიის მეშვეობით ახერხებენ. მედიის პოლიტიკური მნიშვნელობა მე-19 საუკუნიდან გაიზარდა. ეს ის პერიოდია, როდესაც წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობამ საგრძნობლად იმატა და გამოცემულ ჟურნალ-გაზეთთა შინაარსის გაგება მოსახლეობის თითქმის ყველა ფენისთვის გახდა შესაძლებელი. ავტორი მიიჩნევს, რომ მედია არა მხოლოდ პოლიტიკურ ინფორმაციას აწვდის საზოგადოებას, არამედ მის არჩევანსაც განაპირობებს. ის პოლიტიკაზე მედიის ზემოქმედების ოთხ ძირითად მოდელს განიხილავს, კერძოდ:

- პლურალისტური მოდელი, მედიას ერთგვარ იდეოლოგიურ ბაზარს აკუთვნებს, სადაც პოლიტიკური შეხედულებების ფართო სპექტრი იყრის თავს. ამ მოდელის მიხედვით, „მედია განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობს - როგორც საზოგადოების ინფორმატორი. ის დემოკრატიის ხარისხსაც უზრუნველყოფს და ხელისუფლების მაკონტროლებელიცაა“ (ჰეივუდი, ე. 2007. გვ. 305).
- გაბატონებულ-იდეოლოგიური მოდელის მიხედვით მედია ეკონომიკური თუ საზოგადოებრივი ელიტის ინტერესებს ასახავს და საზოგადოება მორჩილებამდე, ან პოლიტიკურ პასიურობამდე მიჰყავს. ზემოხსენებული კი მას პოლიტიკურად კონსერვატიულ ძალად აქცევს. ამ მოდელის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ვერსიას ავტორი ნოამ ხომსკისა და ედ ჰერმანის წიგნზე დაყრდნობით „თანხმობის ფაბრიკა“

გვიზიარებს. ავტორები იმ 5 ფილტრს ასახელებენ, რომელთა მიხედვითაც მედია პოლიტიკურ სიახლეებს ახარისხებს. ამ ჩამონათვალში შედის მფლობელთა ბიზნესინტერესები, რეკლამის დამკვეთთა, სპონსორთა და მათ შორის ხელისუფლების წარმომადგენელთა ინტერესების გათვალისწინება.

- ელიტის მორჩილი მოდელის მიხედვით ჟურნალისტები თუ რედაქტორები საკმარისად დამოუკიდებელნი არიან და მათ მედიასაქმიანობაში ვერცერთი მედიამაგნატი, მათი სურვილის გარეშე, ვერ ჩაერევა.
- საბაზრო მოდელი კი მედიას მიუკერძოებლად მიიჩნევს და ამბობს, რომ ტელევიზია კი არ განაპირობებს, არამედ ასახავს საზოგადოების განწყობას.

ჰეივუდი ხშირად აღნიშნავს, რომ მედიის წარმომადგენლები საკუთარი თავის გარდა არავის წარმოადგენენ და მათი კომპეტენციის მიუხედავად ვერასდროს იქნებიან „ხალხის ხმა“. ამის მთავარ მიზეზად კი ხელისუფლების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და იმ ფაქტებს ასახელებს, როდესაც მედია პროპაგანდისტული მიზნით იყო გამოყენებული და ის არა ხალხის, არამედ ხელისუფლების ხმას წარმოადგენდა.

მედიას დიდი გავლენა აქვს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე. სატელევიზიო სივრცეში არსებული რეალობა განსაკთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს, რადგან ის მოსახლეობის ინფორმირების საკეთესო საშუალებაა და მასებზე ზემოქმედების თვალსაზრისითაც დიდ როლს თამაშობს. ამას მოწმობს NDI-ის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები, სადაც საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე ინფორმაციის მისაღებად საზოგადოების 72% უპირატესობას ტელევიზიას ანიჭებს. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, მედიას დიდი სიფრთხილე მართებს თითოეულ საკითხზე მუშაობისას, რასაც პროფესიული ეთიკა და კანონი ავალდებულებს. პროფესიული და ეთიკური სტანდარტების გათვალისწინების კუთხით მნიშვნელოვანია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, რომელიც 2009 წლის 4 დეკემბერს დაფუძნდა და 11 პრინციპისგან შედგება. მისი მიზანია იყოს ერთგვარი საორიენტაციო გზამკვლევი პროფესილი სტანდარტების დაცვის კუთხით იმ ჟურნალისტებისთვის, რომელთაც აქვთ

ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელების უფლება. 11 პრინციპი ჟურნალისტს ავალდებულებს საზოგადოებას მიაწოდოს ზუსტი, გადამოწმებული და ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაცია. ამავდროულად, ქარტიის მე-11 პრინციპი მედიის წარმომადგენლებს მოუწოდებს ფაქტის განზრახ დამახინჯებისგან თავი შეიკავონ.

ჟურნალისტურ ეთიკის ქარტიასვე ეკუთვნის 2016, 2017-2018 წლებში გამოცემული „ეთიკურად გაშუქების სახელმძღვანელო ჟურნალისტებისთვის“ პირველი და მეორე ნაწილი. თითოეული მათგანი მედიის წარმომადგენლებს ასწავლის თუ როგორ უნდა იმუშაონ პოლიტიკის, გენდერული, ბავშვთა საკითხებისა თუ კრიმინალის გაშუქებისას. ჩამონათვალი ამით არ სრულდება და ის მთელ რიგ მითითებებსა თუ საკითხებს მოიცავს. დაწყებული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობითა და ბუნებრივი კატასტროფების გაშუქებით დასრულებული. თითოეულ თემაზე გაწერილი სტანდარტისა და ძირითადი პრინციპების დადგენა ჟურნალისტს შესაძლებლობას აძლევს, მაქსიმალურად დაიცვას თავი ეთიკური და პროფესიული შეცდომებისგან.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 2009 წლის 12 მარტს „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“ დაადგინა. მისი მიზანია საქართველოში მაუწყებელი ყველა მედიასაშუალება თანაბარი პასუხისმგებლობით მოეკიდოს ეთიკური ნორმების დაცვასა და საზოგადოების წინაშე დაკისრებულ ანგარიშვალდებულებას. კოდექსით განსაზღვრული წესების დარღვევის შემთხვევაში, მაუწყებელი ვალდებულია დაასაბუთოს საზოგადოებრივი ინტერესი და სარედაქციო პროცესის მკაფიო დემონსტრირება მოახდინოს. კოდექსის მე-6 თავი „საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამების გადაცემა და არჩევნების გაშუქება“ პირდაპირ კავშირშია ჩემ მიერ არჩეულ საკვლევ თემასთან. ამ თავის 24-ე მუხლი სახელმძღვანელო წესებს მოიცავს, მისი მე-4 ქვეთავი მაუწყებლებს ავალდებულებს პოლიტიკოსთა შეხედულებები მათივე სიტყვებით მიღებულ ინფორმაცაზე დაყრდნობით გააშუქონ და არა მათი ან მესამე პირთა ინტერპრეტაციით. ამავე მუხლის, მე-6 ქვეთავის მიხედვით თუ რომელიმე პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი ტელევიზიის მეშვეობით გამოთქვამს ბრალდებას სხვა პარტიის

წარმომადგენელთა მიმართ მაუწყებელი ვალდებულია მეორე მხარეს მისცეს შეპასუხების უფლება ბალანსის დაცვის მიზნით.

მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-8 თავი - „მაუწყებელთა სარედაქციო დამოუკიდებლობა“ და ამავე თავის 29-ე მუხლი „მაუწყებლის სარედაქციო დამოუკიდებლობისადმი წაყენებული მოთხოვნები (წესები)“, ტელევიზიის თანამშრომლებს ავალდებულებს გაემიჯნონ რომელიმე პოლიტიკური პარტიის ან პოლიტიკოსის საჯარო მხარდაჭერას. კოდექსის სხვა მუხლები მაუწყებლებს უკრძალავს მიმდინარე პოლიტიკური საკითხების პირადი მოსაზრებისა და დამოკიდებულების საფუძველზე გაშუქებას, თითოეულ მათგანს ავალდებულებს დაიცვან ბალანსი და საზოგადოებას მიაწოდონ ზუსტი ინფორმაცია.

კვლევისთვის განხილული და გამოყენებული სახელმძღვანელოები რელევანტურია არა მხოლოდ ნაშრომისთვის. იგი საგულისხმოა თავად მედიის წარმომადგენელთათვის, რათა საზოგადოებას ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდონ. ამავდროულად, განხილული ლიტერატურა ჟურნალისტების მონოლოგებში ფარულ თუ ღია ირონიასა და სარკაზმს მარტივად ამოსაცნობს ხდის.

# თავი 2. კვლევის დიზაინი

**საკითხის აქტუალობა:**

საქართველოში ინფორმაციის აღქმისა თუ გავრცელების თვალსაზრისით ყველაზე მისაღებ და პოპულარულ მედიასაშუალებად ტელევიზია მიიჩნევა. ამას მოწმობს საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის - IRI-ის მიერ 2022 წლის 27 აპრილს გამოქვეყნებული საზოგადოებრივი აზრის კვლევა, სადაც მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში, გასულ

წელთან შედარებით, ტელევიზიის მაყურებელთა პროცენტული მაჩვენებელი შედარებით შემცირებულია მოსახლეობის 80% ინფორმაციას მაინც ტელევზორიდან იღებს.

იქიდან გამომდინარე, რომ აუდიტორიის უდიდესი ნაწილი უსმენს და უყურებს ტელეარხებით გადმოცემულ ინფორმაციას, პოლიტიკური სიახლეების გასაცნობად კი საავტორო გადაცემებს ანიჭებს უპირატესობას ნაშრომისთვის სწორედ პოლიტიკური საავტორო გადაცემები შეირჩა. მაყურებელთა სიმრავლე, მაღალი საზოგადოებრივი იტერესი, ქვეყანაში მიმდინარე სოციოპოლიტიკურ მოვლენებზე და დაძაბული პოლიტიკური ფონი, რასაც მედიის მხრიდან საპასუხო რეაქცია მოჰყვება, მეტწილად კი თავს საავტორო გადაცემებში იჩენს საკითხის აქტუალობას განაპირობებს.

**კვლევის ობიექტები:**

betterfly media-ს, Tri media-ისა და TV MR-ის მონაცემებზე დაყრდნობით ტელეარხების რეიტინგულობა განისაზღვრა, რომლის საფუძველზეც კვლევის ობიექტებად შეირჩა სამი არხი: ტელეკომპანია „იმედი“, „მთავარი არხი“ და „ფორმულა“. კვლევის სუბიექტებად კი განისაზღვრა ამავე მედიასაშუალებათა რეიტინგული საავტორო გადაცემები, რომლებიც პოლიტიკური შინაარსისაა და გამოირჩევა წამყვანთა დამახასიათებელი სითამამითა თუ ირონიული და სარკასტული დამოკიდებულებით.

საკვლევი სუბიექტები:

- „იმედის კვირა“, წამყვანი: ირაკლი ჩიხლაძე (იმედი).
- „ღამის მთავარი“, წამყვანი: ეკა კვესიტაძე (მთავარი არხი).
- „გიორგი თარგამაძის ფორმულა“, წამყვანი: გიორგი თარგამაძე (ფორმულა).




დიაგრამა 1. ეთერში გასულ გადაცემათა რაოდენობა თვეების მიხედვით

**შერჩევის კრიტერიუმები:**

შერჩევის ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმად ტელემედიათა რეიტინგულობა განისაზღვრა. TV MR-ის მონაცემებზე დაყრდნობით, 2022 წელს, ახალი ამბებისა და საინფორმაციო-ანალიტიკური გადაცემების პოპულარულ პროგრამათა სიაში ლიდერი ტელეკომპანია „იმედია“ საკვლევ ობიექტად არჩეული გადაცემითურთ - „იმედის კვირა“. ამავე მონაცემებზე დაყრდნობით, მას კონკურენციას მთავარი არხი უწევს, ხოლო წინა წლის მონაცემებთან შედარებით „ფორმულას“ რეიტინგი გაზრდილია, რამაც მისი საკვლევ ობიექტად არჩევა განაპირობა.

შერჩეული ტელეარხებიდან ერთი მკვეთრად სახელისუფლებოა - „იმედი“. ორი კი ანტისახელისუფლებო „მთავარი არხი“ და „ფორმულა“. ეს განაპირობა უშუალოდ კვლევის მიზანმა, რასაც საავტორო ტელეტექსტებში პოლიტიკოსებისა და მათ შორის ხელისუფლების წარმომადგენელთა მხილება თუ გაკრიტიკება წარმოადგენს.

ამავდროულად, საკვლევ ერთეულებად შერჩეული საავტორო პოლიტიკური გადაცემები საერთო ნიშნით ხასიათდებიან. კერძოდ:- მაუწყებლობენ საღამოს საათებში, 20:00

საათიდან 00:00 საათის შუალედში, დროის ამ მონაკვეთს ტელეინდუსტრიაში Prime time-ს უწოდებენ. მაუწყებლობის ეს დრო შერჩევის ერთ-ერთი კრიტერიუმი გახდა, რადგან სტატისტიკურად, ტელევიზორს ყველაზე მეტი მაყურებელი 21:00-დან 23:00 საათამდე ჰყავს. თითოეული მათგანი ეთერში კვირაში ერთხელ გადის და დაახლოებით საათ-ნახევარი ეთმობა საეთერო ბადიდან. ამავდროულად, საკვლევი გადაცემები პოლიტიკურია და საავტორო გადაცემათა კატეგორიას მიეკუთვნება, მათი წამყვანები კი გამოირჩევიან თამამი განცხადებებით და ხანგრძლივი მონოლოგებით, რომლებიც სარკასტული და ირონიული შინაარსის მეშვეობით ცდილობს მაყურებლამდე სათქმელის მიტანას.

**კვლევის მიზანი:**

კვლევის მიზანია სარკასტული და ირონიული ფრეიმების იდენტიფიცირება, რომელთაც თითოეული საავტორო გადაცემა მაყურებელთან კომუნიკაციისას იყენებს.

**კვლევის ამოცანები:**

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, კვლევის ამოცანები შემდეგი სახისაა:

1. საკვლევი მედიასაშუალებების მონიტორინგი და გარკვევა, როგორ პოზიციონირებენ თანამედროვე ქართულ ტელესივრცეში პოპულარული საავტორო ტელეტექსტები, აქვთ თუ არა მათ ირონიული ან სარკასტული დამოკიდებულება.
2. გაირკვეს, მიმართავენ თუ არა ქართველი ტელეწამყვანები ირონიულ ხერხებს ხელისუფლებისა და სხვა პოლიტიკოსთა მაკრიტიკებელ საშუალებად.
3. დადგინდეს, წამყვანები იყენებენ თუ არა საავტორო გადაცემებს მიზანმიმართულად, საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების გამავრცელებელ საშუალებად.
4. გადაცემის წამყვანები როგორი ტიპის კომუნიკაციას ანიჭებენ უპირატესობას.

5. იმ რიტორიკული ხერხების გამოკვეთა, რომელთაც საავტორო გადაცემათა წამყვანები ხელისუფლებისა და სხვა პოლიტიკოსთა მაკრიტიკებელ საშუალებად იყენებენ.
6. რამდენად ეთიკურია მათი ვერბალური კომუნიკაცია.
7. რეკომენდაციების განსაზღვრა პოლიტიკური საავტორო გადაცემებისა და მათი წამყვანებისთვის

**საკვლევი პერიოდი:**

საკვლევ პერიოდად შეირჩა 2023 წლის დასაწყისი, კერძოდ 1-ელი იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით პერიოდი. betterfly media-ს, Tri media-სა და TV MR-ის მონაცემებზე დაყრდნობით, რომელსაც მედიაჩეკერი აქვეყნებს, საქართველოში, ტელევიზიას, ყველაზე მეტი მაყურებელი იანვარსა და თებერვალში ჰყავს, რამაც საკვლევი პერიოდის არჩევა განაპირობა.

რაც შეეხება მარტს, მისი საკვლევ პერიოდად განსაზღვრას სხვადასხვა მნიშვნელოვანი თემების გააქტიურებამ და მარტის აქციებმა შეუწყო ხელი. სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა, „ხალხის ძალის“ მიერ უცხოეთის აგენტების შესახებ კანონპროექტის შემოღების საკითხი. ამან კი, თავის მხრივ ხელი შეუწყო საავტორო გადაცემათა მაუწყებლობის გააქტიურებას. მაგალითად, 8 და 9 მარტის აქციებისას „გიორგი თარგამაძის ფორმულა“ მთელი ღამის განმავლობაში მაუწყებლობდა და საზოგადოებას პირდაპირი ეთერის მეშვეობით აწვდიდა ინფორმაციას, რასაც ვერ ვიტყვით „იმედის კვირაზე“, სადაც აქციის მონაწილეთა ქილიკის გარდა წამყვანს არაფერზე გაუმახვილებია ყურადღება.

## თავი 2.1 კვლევის მეთოდოლოგია:

**კვლევის კითხვები:**

1. მიმართავენ თუ არა საავტორო პოლიტიკურ გადაცემათა წამყვანები სარკაზმსა და ირონიას ვერბალური კომუნიკაციის დროს?
2. მიმართავენ თუ არა ქართველი ტელეწამყვანები ირონიულ ხერხებს ხელისუფლებისა და სხვა პოლიტიკოსთა მაკრიტიკებელ საშუალებად.
3. იყენებენ თუ არა ქართველი ტელეწამყვანები საავტორო გადაცემას მიზანმიმართულად, საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების გავრცელების მიზნით.
4. რა რიტორიკულ ხერხებს იყენებენ ხელისუფლებისა და სხვა პოლიტიკოსთა მაკრიტიკებელ ტელეტექსტში?
5. რამდენად ეთიკურია წამყვანების ვერბალური კომუნიკაცია?

**კვლევის მეთოდი:**

წინამდებარე ნაშრომში კვლევის მიზნის მისაღწევად სოციალურ მეცნიერებათა კონტენტ-ანალიზი და რიტორიკული ანალიზი შეირჩა.

კონტენტის თვისებრივი ანალიზის მეშვეობით გაირკვა რა ირონიული სიტყვებითა და ფრეიმებით ვლინდება გადაცემებში ტელეწამყვანთა დამოკიდებულება, რამდენადაა ეს ირონია ხელისუფლებისა და სხვა პოლიტიკოსთა გასაკრიტიკებლად მიმართული. ამავე მეთოდის მეშვეობით, შესაძლებელი გახდა პროფესიული ეთიკური სტანდარტების კვლევა და ჟურნალისტების სამეტყველო ლექსიკაზე დაკვირვება.

რაც შეეხება, რიტორიკულ ანალიზს, არისტოტელეს განმარტებით, ის დარწმუნების ხელოვნებაა, რომელიც სხვადასხვა ხერხებით ცდილობს სათქმელის გადმოცემას. რიტორიკული ხერხებია: რიტმი, ალიტერაცია, რითმა, განმარტება, და მეტონიმი, მეტაფორა, შედარება, მაგალითებით გამდიდრება, ალეგორია და ირონია. სწორედ, მათი მეშვეობით განვიხილავთ თითოეულ გადაცემას. ეს ხერხები კი საშუალებას მოგვცემს

ვიკვლიოთ საავტორო გადაცემათა წამყვანების სარკასტული და ირონიული დამოკიდებულება და მახასიათებლები.

**თეორიული ჩარჩო:**

თითოეული ირონიული თუ სარკასტული გამოთქმა, რომელთაც ტელეეკრანებიდან ვისმენთ გარკვეული აზრისა და ქვეტექსტის მატარებელია და კონკრეტულ ჩარჩოს ერგება, ამიტომ ნაშრომის თეორიულ ჩარჩოდ ფრეიმინგი შეირჩა.

ფრეიმინგის საფუძველი დღის წესრიგის კონცეფციას ეფიძვნება, რომლის მიხედვითაც მედია პრიორიტეტების მიხედვით ალაგებს საკითხებს და ამის გათავლისიწინებით საზოგადოებას აწვდის ინფორმაციას. იგი შესაძლებლობას იძლევა კვლევა განვავრცოთ ხელთარსებულ საკითხზე ორიენტირებით. მედიის შემთხვევაში, ყურადღება კონკრეტულ ამბავს ექცევა და მას გაშუქების კონკრეტულ ჩარჩოში ათავსებს, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს აუდიტორიის აღქმასა და შეხედულებაზე. ზემოხსენებული მაყურებელს მიუთითებს არა მხოლოდ იმაზე, თუ რა იფიქროს, არამედ იმასაც, თუ როგორ. შესაბამისად, ფრეიმინგს საზოგადოებაზე დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია. (Communication, 1999).

ფრეიმინგის ტექნიკა ფეირჰარსტისა და სარის(1996) მიხედვით შემდეგნაირია:

- მეტაფორა: კონცეპტუალური იდეის ფრეიმინგი სხვა რამესთან შედარების გზით.
- ისტორიები: თემის ჩამოყალიბება ხდება მკაფიო და დამამახსოვრებელი ნარატივის საშუალებით.
- ტრადიცია: კულტურული ნორმები, რომლებიც მნიშვნელობას იძენენ ამქვეყნიურ, მჭიდროდ დაკავშირებულ ნივთებთან

- სლოგანი, ჟარგონი, ფრთიანი ფრაზა: ობიექტის ფრეიმინგი ფრთიანი ფრაზის გამოყენებით, რათა ის უფრო დამამახსოვრებელი და ნაცნობი გახდეს.
- არტეფაქტი: ობიექტები, რომლებსაც შინაგანი სიმბოლური მნიშვნელობა აქვს.
- კონტრასტი: აღწეროს ობიექტი იმ კუთხით, როგორიც ის არ არის.
- სპინი: წარადგინო კონცეფცია იმ ფორმით, რომ განსჯის საშუალება მოგცეს (Communication, 1999).

ფრეიმინგი ადამიანური კომუნიკაციის გარდაუვალი ნაწილია, რადგან ჩვენ ყველას კომუნიკაციაში ჩვენი ფრეიმი შეგვაქვს. ფრეიმინგის თეორია განსაზღვარავს იმას, თუ როგორ აღიქვამს აუდიტორია მედიისგან მიღებულ ინფორმაციას, ამ შემთხვევაში კი საავატორო გადაცემებიდან გავრცელებულ სარკაზმსა და ირონიას. გადაწყვეტილებას, თუ რა სახით უნდა მიეწოდოს აუდიტორიას ინფორმაცია, მედიის წარმომადგენლები იღებენ. კვლევიდან გამომდინარე, ყურადსაღებია, თუ როგორ ვლინდება საავტორო გადაცემებში სარკასტული და ირონიული ფრეიმები, რომლებიც ავტორების სუბიექტური პრიზმიდანაა დანახული

## თავი 2.2. რიტორიკული ანალიზი:

ბერძენმა მეცნიერმა და ფილოსოფოსმა, არისტოტელემ (ძვ.წ. 384-322), ჯერ კიდევ, ანტიკურ პერიოდში რიტორიკას ვრცელი და უმნიშვნელოვანესი ნაშრომები მიუძღვნა. მისი უმთავრესი ნაშრომი „რიტორიკაა“, რომელიც ძვ.წ 329-323 წლებშია დაწერილი. იგი ფილოსოფოსმა სამ ძირითად ნაწილად დაყო: პირველი ნაწილი მან რიტორიკის ზოგად პრობლემატიკას დაუთმო, მეორე ტოპოსისა და ეთოსის საკითხებს, ხოლო მესამე სტილისა და რიტორიკის თემატიკას მიუძღვნა.

არისტოტელემ არგუმენტაციის შემდეგი ძირითადი პრინციპები შემოგვთავაზა:

- რიტორიკა - დარწმუნების ხელოვნებაა

- ის საკომუნიკაციო პროცესში მიმდინარეობს
- საკომუნიკაციო პროცესი სამ კომპონენტს მოიცავს:- მეტყველი, შეტყობინება და მსმენელი.
- რიტორიკული დისკურსი მსმენლისკენაა მიმართული
- დისკურსი ტრიადაზეა ორიენტირებული, რომელიც მოიცავს:
    - ეთოსს: ორატორის პიროვნული თვისებები
    - პათოსს: მსმენელში ემოციების გაღვივება ორატორის მიერ
    - ლოგოსს: მეტყველებაში ლოგიკური არგუმენტების შეტანა
- რიტორიკის მიზანს ჭეშმარიტების დადგენა წარმოადგენს
- ის წინამძღვრებსა და ტოპოსს ეყრდნობა
- მისი მიზანია მსჯელობის უნარის მქონე გონება მიიმხროს
- რიტორიკა სავარაუდოდ მისაღებს ეყრდნობა და არ წარმოადგენს ზუსტ მეცნიერებას.

არისტოტელე რიტორიკას დარწმუნების ხერხად მიიჩნევს, მის მიერ ნახსენები ხერხები ხშირად გვხვდება თანამედროვე კომუნიკაციის მაგალითებში, კერძოდ კომერციულ მუსიკალურ გადაცემებში, სადაც მუსიკოსი გარკვეულ ინსტრუმენტს აქებს. სარეკლამო რგოლებში, რომლებიც კონკრეტული ნივთის საჭიროებაში გვარწმუნებენ ან თუნდაც წამყვანთა ტექსტებში, რომლებიც პოლიტიკოსებზე წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით საუბრობენ და წინა შეცდომებს დღევანდელს ადარებენ.

რიტორიკაზე, როგორც მასმედიის კვლევის ფორმაზე საუბარია მედჰარსტისა და ბენსონის წიგნში - “Rhetorical Dimensions in Media: A critical casebook” (1984). ისინი თვლიან, რომ ორატორი საზოგადოებაზე გავლენის მოხდენას ცდილობს და თითოეული დეტალი გათვლილი აქვს, მათ შორის, რა შეიძლება ითქვას კონკრეტულ სიტუაციაში, როგორ გამოიყენოს სპეციფიკური ტერმინები და რაც ყველაზე მთავარია, იცის როგორ მიაწოდოს აუდიტორიას შეტობინება ისე, რომ მათზე ზეგავლენა მოახდინოს.

მედჰარსტი და ბენსონი რიტორიკის ისეთ 8 პუნქტიან განსაზღვრებას გვთავაზობენ, რომელიც მედიას ერგება:

- განზრახ დარწმუნება
- სიმბოლური ფორმების ეფექტი და საზოგადოებრივი ღირებულბები
- საკომუნიკაციო ტექნიკა
- დარწმუნების ტექნიკა
- ტექსტის სახეობა და ჟანრი
- სიმბოლური ტექსტის ავტორები ინტერაქციის იმპლიციტურ თეორიებს იყენებენ
- კომუნიკაციის წარმართვა ადამიანთა შორის
- ფორმები, რომლებიც უფრო ეფექტურს ხდის ტექსტს

ზემოთ ჩამოთვლილი ხერხების მეშვეობით, რიტორიკული ანალიზის გაკეთებაა შესაძლებელი. ის ერგება სატელევიზო გადაცემებს, ფილმებს, შოუებსა და მათ შორის, რეკლამასაც კი.

არსებობს შემდეგი რიტორიკული ხერხები: განმარტება, ალიტერაცია, მაგალითებით გამდიდრება, რითმა, რიტმი, ალეგორია, მეტაფორა, შედარება, მეტონიმი და ირონია. სწორედ ამ ხერხების მიხედვით იქნება განხილული დაკვირვების ქვეშ მყოფი საკვლევი პოპულაციები.

# თავი 3. კვლევის შედეგები

## 3.1 „იმედის კვირა“

ირაკლი ჩიხლაძის საავტორო გადაცემა, „იმედის კვირა“, ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში ყოველ კვირას, 20:00 საათზე გადის და დაახლოებით, საათ-ნახევარი მაუწყებლობს. დაკვირვების პერიოდში, კერძოდ, 1-ელი იანვრიდან, 31 მარტამდე ეთერში 11 გადაცემა გავიდა, რამაც დაახლოებით სრული 14 საათი შეადგინა. გადაცემა, არხის პოლიტიკური მიკერძოებიდან გამომდინარე, გამოირჩევა ხელისუფლებისადმი დადებითი დამოკიდებულებით და მის ოპონენტთა მწვავე კრიტიკით. ირონიული და სარკასტული ტექსტები წამყვანის არა მხოლოდ ვერბალურ კომუნიკაციაში ჩანს, არამედ დამცინავ მიმიკებშიც ვლინდება. ირაკლი ჩიხლაძე არც განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე კოლეგათა მიმართაა ლმობიერად განწყობილი და ხელისუფლბის დაცვის მიზნით, არც პროფესიული ეთიკის დარღვევას ერიდება და არც სუბიექტური აზრის გამოხატვას, რასაც მიზანმიმართული სახე აქვს და პოლიტიკურ მიკერძოებამდე მიდის. რიტორიკული ანალიზის მეშვეობით გავაანალიზე და გამოვიკვლიე იყენებს თუ არა ავტორი სარკაზმსა და ირონიას, როგორც საზოგადოებაზე ზემოქმედების ხერხს და მიმართულია თუ არა ის ხელისუფლებისა და სხვა პოლიტიკოსთა შეცდომების სამხილებლად. ამავდროულად, შესაძლებელი გახდა გაგვეგო, იყენებს თუ არა ტელეწამყვანი საავტორო გადაცემას, მიზანმიმართულად, როგორც სუბიექტური აზრის გამავრცელებელ საშუალებას პოლიტიკოსთა მიმართ. ეთიკურობისა და საკვლევ კითხვათა

სხვა დეტალებს ანალიზის პროცესში დაწვრილებით გაგაცნობთ, სადაც ცალ-ცალკე გავარჩევთ თითოეულ მათგანს.

**პირველი გადაცემა: 15/01/2023:-** წამყვანი საკმაოდ მწვავე კრიტიკით იწყებს მონოლოგს და ფაქტობრივად, ოპოზიციის წარმომადგენლებს ადანაშაულებს, რომ მათ ომის დაწყება სურთ. ყველაფერთან ერთად კი ბრალს სდებს, რომ ხელისუფლებას ქვეყნის საქმეთა მოგვარებაში უშლიან ხელს. მაგალითად, 15 იანვრის გადაცემას ირაკლი ჩიხლაძე შემდეგი სიტყვებით იწყებს: „მეორე ფრონტი ისევ დღის წესრიგშია, თბილისის ქუჩებში ტანკების გამოჩენა კონკრეტული ძალებისთვის, საბედნიეროდ, ამ დრომდე მხოლოდ სურვილად რჩება“. ზემოხსენებული, რიტორიკულ ხერხთაგან ***შედარებას*** მიეკუთვნება, რადგან ბუნებრივია, „მეორე ფრონტად“ საქართველო მოიაზრება, „კონკრეტულ ძალებად“ კი ყველა ის პოლიტიკოსი, რომელთაც უკრაინის ომთან დაკავშირებით საქართველოს სანქციებში ჩართვა და რუსეთისთვის გარკვეული შეზღუდვების დაწესება სურდა. ამავდროულად, წამყვანი ვერბალურ კომუნიკაციაში, შედარებასთან ერთად, ხშირად მიმართავს ***მაგალითებით გამდიდრებას,*** კერძოდ: „პოლიტიკური ტურბულენტობა გახარიას გადადგომით არ დასრულებულა, რადიკალური ძალების თავდასხმებმა და ქვეყნის წინააღმდეგ საინფორმაციო ომმა ახალი მასშტაბები შეიძინა“, „რადიკალებისთვის მიუღწეველი აღმოჩნდა, ქართული ოცნების თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის გზიდან ჩამოცილება, რომელიც მათი ანტისახელმწიფოებრივი გეგმის მთავარი შემაფერხებელია“. წამყვანის მიერ მოხმობილი მაგალითები დარწმუნების ეფექტური ხერხია, მითუმეტეს მაშინ, როდესაც ქვეყანაში საზოგადოება ისედაც შეშინებული და გზააბნეულია. ირაკლი ჩიხლაძე, თავისი სუბიქეტური თვალსაზრისით, ერთადერთ ჭეშმარიტებად ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს უსახავს მოსახლეობას და გარკვეულწილად, აშინებს მათ იმით, რომ თუკი განსხვავებული შეხედულება ექნებათ,“მეორე ფრონტი“ საქართველო გახდება.

***მეტაფორა:*** „ივანიშვილის პოლიტიკური მემკვიდრის 2 წელი და პოლიტიკური ნოკაუტი რადიკალებს კობახიძისგან“. მემკვიდრე, ამ შემთხვევაში, კობახიძეა, რომელსაც

თავმჯდომარეობის 2 წელი შეუსრულდა და ამ ხნის განმავლობაში ოპონენტებთან ბრძოლამ „პოლიტიკური ნოკაუტი“ ანუ, რადიკალების, როგორც ის ოპოზიციის წარმომადგენლებს მოიხსენიებს, სასტიკი დამარცხება გამოიწვია. „ომის პარტიის მუქარა“, ასე ჰქვია გადაცემაში გასულ ერთ-ერთ სიუჟეტს, მეტაფორულად ნაციონალური მოძრაობა ომის პარტიადაა მოხსენიებული. ყველაფერთან ერთად კი მიუთითებს 2008 წლის აგვისტოს ომზე, რომელიც მათი ხელისუფლებაში ყოფნის დროს მოხდა.

***ალიტერაცია:*** „გამოწვევებით დასრულებული, ძველი და გამოწვევებით დაწყებული ახალი წელი, ომის პარტიისთვის შიდაპარტიულ ომადაც იქცა“, ამით წამყვანი ცდილობს ხაზი გაუსვას ნაციონალურ მოძრაობაში არსებულ დაპირისპირებას, რომელმაც არა მხოლოდ 2023 წელს იჩინა თავი, არამედ მანამდეც არსებობდა პარტიაში.

**განმარტება: „**უკრაინის საქმეთა რწმუნებულის თქმით, კიევი თბილისისგან შეიარაღების მიწოდებას და ასევე, 2008 წელს გადმოცემული ბუკის სისტემის დაბრუნებას ითხოვს. დიპლომატის ამ არცთუ დიპლომატიურ განცხადებებში ბევრი უზუსტობაა და ყველა ამ დეტალს ახლა თქვენთან ერთად გავაანალიზებ“, „მშვიდობის მტრები“, ომი, ომი და ომი. სამწუხაროდ, უკრაინელ მაღალჩინოსანთა ნაწილი ვერა და ვერ შეელია სურვილს ჩაითრიონ საქართველო ომში“. ამ განმარტებითი ხასიათის ტექსტით წამყვაი ცდილობს საზოგადოებაში უარყოფითი დამოკიდებულება შეიტანოს უკრაინისადმი და ხალხს დაანახოს, რომ მათ ჩვენი ომში ჩაბმა სურთ. გარდა ამისა, იყენებს ჰიპერბოლას, „ომი, ომი და ომი“, ან თუნდაც მეტაფორულად მშვიდობის მტრებად რაცხავს ოპოზიციას.

***რიტორიკული კითხვები:*** „სასწორის პინაზე ამ დრომდე დევს მშვიდობა და ომი. ჯერჯერობით საზოგადოების უდიდესი უმრავლესობა და მმართველი პარტია მშვიდობის შენარჩუნებას ახერხებს, რა იქნება ხვალ ?!“

***ირონია:*** „პრეზიდენტი ცდილობს შექმანს ატმოსფერო თითქოს სამყარო მის გარშემო ბრუნავს“(იღიმის), „ყოფილი პრეზიდენტი, რომელიც თავის დროზე სამართალს უკრაინაში გაექცა ახლა რიგითი პატიმარი, პაციენტი და მსახიობია.“

***მეტონიმი:*** „სააკაშვილს გააზრებული აქვს, რომ ბანანის რესპუბლიკაში არ მოხვდა და ზუსტად ერთი წელი დასჭირდა ამისთვის“, ამ შემთხვევაში „ბანანის რესპუბლიკა“ ამერიკელი მწერლის, ო. ჰენრის გამოგონილი ქვეყანაა სადაც უამრავი საშინელება და უკანონობა ხდებოდა. ერთგვარად, აქ ისეთი ქვეყანაა ნაგულისხმევი, სადაც სამართლისა და კანონის ძალა არ მოქმედებს. წამყვანს კი ამით სურდა ხაზი გაესვა, რომ საქართველო უმართავი სახელმწიფო არ არის, რადგან შესაბამისი ხელისუფალი ჰყავს და მიხეილ სააკაშვილსაც არ უნდა ჰქონდეს იმედი, რომ გაათავისუფლებენ.

გადაცემა სიუჟეტებზეა აგებული და მთელი დრო ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე მოვლენებსა თუ მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობას ეხება. ამავდროულად, წამყავნი არ ერიდება შეუსაბამო ლექსიკით საუბარსა თუ ოპზიციის წარმომადგენელთა დადანაშაულებას, ისეთ მნიშვნელოვან საკითხებში, როგორიც თუნდაც ომის საშიშროებაა. მაგალითად: „ცოტნე გეგეჭკორი მოგიყვებათ ნაციონალების ხასიათზე, პარტიაზე, რომელსაც ქვეყანაში მშვიდობაზე მეტად სისხლი და ტყვიების წვიმა სურს“.

**მე-2 გადაცემა: 22/01/2023:** გადაცემა ჩვეული მისალმებით იწება, რასაც მაშინვე მოსდევს რეპორტაჟისთვის დათმობილი მონოლოგი, სადაც წამყვანი რა თემაზეც არ უნდა საუბრობდეს, მაინც ცდილობს ოპოზიციის წარმომადგენლები უარყოფითად წარმოაჩინოს. გადაცემა მაჩალიკაშვილის საქმეზე საუბრით დაიწყო, გადაიზარდა გიორგი ვაშაძისა და ელენე ხოშტარიას რუსულ შემოსავლებზე ირონიულ განხილვაში და ბოლოს ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე მოვლენებიც გაგვაცნო, რაც თითოეულ გადაცემაში ყოველთვის გახლავთ განხილვის საგანი.

წამყვანი გადაცემას ***განმარტებით*** იწყებს, კერძოდ: ”სტრასბურგმა მაჩალიკაშვილის საქმე დახურა. ეს არის საქმე, რომლის პოლიტიზება და საზოგადოების შეცდომაში შეყვანა რადიკალებმა ბევრჯერ სცადეს“. აღნიშნულ მონოლოგში წამყვანი ცდილობს საზოგადოებას სხვადასხვა მაგალითებით განუმარტოს, რომ ხელისუფლება ზემოხსენებულ საქმეში სტრასბურგმა გაამართლა. ყველაფერთან ერთად, მაგალითებს სუბიექტურ აზრსაც ამატებს და ამბობს:- „მძიმე საყურებელი იყო ვიწროპარტიული

ინტერესების გამო როგორ შეითრიეს პოლიტიკურ მორევში გარდაცვლილი 19 წლის ბიჭის მამა, ჭირისუფალი“. ეს ვიწროპარტიული ინტერესების მქონე პოლიტიკოსები, ბუნებრივია, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები არიან.

ამაბდროულად, ირაკლი ჩიხლაძე მიმართავს ***მაგალითებით გამდიდრებასაც:*** „ნაცმოძრაობა ხელწერას არ ღალატობს, მოსმენების ბინძური პოლიტიკა ამ პარტიის განუყოფელი ნაწილია, ისევე როგორც ვანო მერაბიშვილი, დავით კეზერაშვილი და მიხეილ სააკაშვილი. მელია თავმჯდომარის პოსტს არ თმობს“

წამყვანი იყენებს ***მეტონიმს:*** „ხაბეიშვილი, რომელსაც ზურგს ამ პარტიის ზონდერ ელიტა უმაგრებს”, რომლითაც მოიხსენიებს ნაციონალურ მოძრაობასა და კეზერაშვილს. ასოციაციურად კი მაყურებლისთვის ცდილობს ნაციონალური მოძრაობის მიერ, აქციების დაშლის დროს გამოყენებული არაპროპორციული ძალების ქმედების შეხსენებას.

***მეტაფორა:*** “ხაბეიშვილი მოუთმენლად ელის როდის გახდება ხელოვნურ სუნთქვაზე მყოფი პარტიის მესაფლავე“, ირაკლი ჩიხლაძე აქ გულისხმობს, რომ  დაშლის პირას მყოფი პარტიის დაშლას ლევან ხაბეიშვილი უფრო დააჩქარებს. მისი სიტყვები, მეტაფორასთან ერთად სარკასტულიცაა.

***ირონია:*** „გიორგი ვაშაძის რუბლები“ - ასეთია სიუჟეტის სათაური, რომელსაც წამყვანისაგან ირონიულ შეფასებათა მთელი რიგი მოჰყვება. „გიორგი ვაშაძე რუბლებს ითვლის. შესაძლოა ვუტრირებ, მაგრამ წარსულში მის მიერ გაკეთებული ყველა ანტირუსული განცხადება მის სახლში მცხოვრებმა რუსმა მდგმურებმა გააბთილეს. ახლა, ვაშაძე და ხოშტარია ერთ ბედქვეშ არიან. მათ, არა მხოლოდ კეზერასვილის ფული, რუსული შემოსავლები აერთიანებთ“(იღიმის).

**მე-3 გადაცემა: 29:01:2023:** აღნიშნული გადაცემა სხვებთან შედარებით მეტად კრიტიკული იყო. მთავარი განსახილველი თემა, კვლავ, მიხეილ სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა იყო. ეთერი დაიწყო ჩვეული მონოლოგით, რომელიც ყოფილი პრეზიდენტის მედდას შეეხებოდა. წამყვანი ხშირად იყენებდა ისეთ ზედსართავებს, როგორებიცაა:-

რეზონანსული, შოკისმომგვრელი და გამაოგნებელი, რომ საზოგადოებისთვის აეხსნა რამდენად მძიმე ამბის მოყოლა სურდა სააკაშვილის მედდას, რომელმაც ვივამედში მესამე პრეზიდენტის შეურაცხმყოფელ ქმედებებს ვეღარ გაუძლო.

ირაკლი ჩიხლაძემ საუბარი დაიწყო ***განმარტებით:*** „სააკაშვილიც და მისი გარემოცვაც პრეზიდენტის ჯანმრთელობით მუდმივად სპეკულირებს, რეალობა კი სულ სხვაა და ყოველგვარი ზედმეტობის გარეშე გეტყვით რომ არავის არ უნდა ყოფილი პრეზიდენტის დაუძლურება“. ამით მას სურს მაყურებელს აუხსნას და დააჯეროს, რომ მიხეილ სააკაშვილი ციხიდან გამოსასვლელად ყველა ხერხს მიმართავს. „ყველა ვხედავთ როგორ ებრძვიან ერთმანეთს, როგორი ბინძური მეთოდებით უპირისპირდებიან თანაგუნდელები და რთული წარმოსადგენი არ არის რა დღეში იქნებოდა ქვეყანა და ხალხი დღეს რომ ხელისუფლებაში იყვნენ.“ აქ, ირაკლი ჩიხლაძე, გარდა იმისა, რომ შეუსაბამო ლექსიკას იყენებს, საკითხს ისე ხსნის, თოთქოს მაყურებელიც ეთანხმება, ეს კი გავლენის მოხდენის ერთ-ერთი გზაა.

***ალიტერაცია:*** „ტრაგედია რომელიც ამ რეჟიმის დასასრულის დასაწყისად იქცა“, საუბარია სანდრო გირგვლიანის მკვლელობაზე, წამყვანი ამ ხერხით ცდილობს მხატვრულად გადმოსცეს თუ როგორ მოუმზადა ნიადაგი 2006 წელს ჩადენილმა მკვლელობამ ნაციონალური მოძრაობისთვის სადავეების წართმევას.

***მაგალითებით გამდიდრება:*** „შეურაცხყოფა და ფსიქოლოგიური ტერორი პაციენტ ექსპრეზიდენტისა და მისი გარემოცვისგან”, „უმძიმესი მოსასმენი იყო,ეს თერთმეტი წუთი, რაც ერთად ვნახეთ და ძალიან მძიმეა. ექთნები, ექიმები, 24 საათის განმავლობაში, ყოფილი პრეზიდენტის, ჯანმრთელობისთვის ზრუნავენ, მაგრამ პასუხად და მადლიერებად იღებენ მუქარას, შანტაჟს, შეურაცხყოფას. აი, ეს არის ის რეალური სახე, რაც აქვს ნაციონალურ მოძრაობას, მის რეალურ ლიდერს და თითოეულ ამ პარტიის წევრს. იმ ლიდერს, რომელიც ახლა ალბათ, არჩევნების ხმების მოლოდინშია“ , ბოლო სიტყვებს ირონიულად ამატებს.

***შედარება:*** „სინამდვილეში, ეს დიდად არ გამკვირვებია და არ გაკვირვებია საზოგადოების დიდ ნაწილსაც, რადგან თავის დროზე როდესაც ნაცები ხელისუფლებაში იყვნენ და მიშა

პრეზიდენტი ასე და ამაზე უარესად ექცეოდნენ ადამიანებს, განურჩევლად  სტატუსისა რანგისა, მდგომარეობისა ყველას ვინც კი შეეწიანაღმდეგებოდა და განსხვავებული აზრი ჰქონდა.“ გარდა იმისა, რომ წამყვანი წინა წლების მმართველობას ახსენებს საზოგადოებას, მათივე სახელით ამბობს, რომ ნაციონალური მოძრაობისგან მსგავსი რამ ხალხს არ უკვირს და ამით მათზე ზემოქმედებას ახდენს.

***ირონია:*** ”სიტყვა ღირსება სააკაშვილის შემთხვევაში სამწუხაროდ რელევანტური აღარ არის“, „ნაციონალური უძრაობა, კამიკაძეთა მოძრაობად გადაიქცა. სააკაშვილის პარტია თვითგანადგურების პროცესს წარმატებით განაგრძობს და ამაში ხელი არავინ არ უნდა შევუშალოთ“, „სახედაკარგულ და თვითმკვლელ პარტიას ჰყავს ლიდერი რომელიც ციხიდან ჯერჯერობით პატარ-პატარა ნაღმებს ისვრის, თუმცა თანაგუნდელებზე გაბრაზებულმა, შპიგელისთვის მიცემულ პოლიტიკურად საბედისწრო ინტერვიუში ისეთი რამ აღიარა საკუთარ თავზე, რომ აქამდე ძლივს შემორჩენილი ერთი მუჭა მხარდამჭერებიც განუდგნენ, ან განუდგებიან აუცილებლად“(იღიმის).

**მე-4 გადაცემა: 05/02/2023:** ხუთი თებერვლის ეთერი შედარებით ნეიტრალური იყო სხვა გადაცემებთან შედარებით. განსახილველ თემებში, პოლიტიკიდან, ევროკომისიისა და როგორც ყოველთვის ნაციონალური მოძრაობის საკითხები იყო განხილული.

ეთერი კვლავ ***განმარტებით*** დაიწყო. „დღევანდელი რეპორტაჟი გვეხება ყველას, ევროკომისიის დადებითი დასკვნა და ევროლიდერების შეფასებები არ ახარებთ რადიკალებს. მოდით პირდაპირ ვთქვათ, აღიზიანებთ, რადგან ეს აცდენილია მათ ინტერესებს, ომსა და დაპირისპირებას“, აქ საუბარია ევროკომისიისთვის გაგზავნილი კითხვარის მეორე ნაწილსა და დადებით შეფასებებზე. წამყვანმა, რატიმღაც გადაწყვიტა, რომ ოპოზიციის წარმომადგენლებს დადებითი შეფასებები არ მოეწონათ.

***ალიტერაცია:*** „ხაბეიშვილის ნაცმოძრაობა ნაცუძრაობად გადაიქცა“, მისი არჩევნების გამარჯვების შემდეგ, ირაკლი ჩიხლაძე ყველა გადაცემაში ხაზს უსვამს იმას, რომ ხაბეიშვილი ცუდი მმართველია და ამას სხვადასხვა რიტორიკული ხერხებით აკეთებს.

***შედარება:*** „დიდი ამბებია ნანგრევებად ქცეულ ნაცმოძრაობაში“

***ირონია:*** „ხაბიშვილი ვერ აღმოჩნდა ის მაგნიტი რომელიც ნაციონალური მოძრაობის ნამსხვრევებს შეაკოწიწებდა. პირიქით, დაპირისპირება კიდევ უფრო გამწვავდა და კეზერაშვილ-მერაბიშვილის ხელის ბიჭს თავმჯდომარის მხოლოდ სტატუსი აქვს. ხაბეიშვილი ძალიან მალე მიხვდა რომ მის ხმას პარტიაში ჩალის ფასი აქვს ზონდერ ბოსების ფულით მოპოვებული თავმჯდომარეობის ეფექტი ნახეთ რეპორტაჟში“. გარდა ირონიისა, ამ ტექსტში წამყვანი იყენებს ***მეტონიმს,*** რომელზეც წინა გადაცემების განხილვისასაც ვისაუბრეთ, კერძოდ:- „ზონდერ ბოსები“. ასევე, ***მეტაფორით*** - „ჩალის ფასი“, აკნინებს ხაბეიშვილის პოლიტიკურ ღირებულებას.

**მე-5 გადაცემა: 12/02/2023.** ირაკლი ჩიხლაძის „იმედის კვირა“ 12 თებერვალს კვლავ ნაციონალურ მოძრაობაზე საუბრით დაიწყო და გამოირჩეოდა ჩვეული სიძულვილის ენითა თუ ირონიით.

***განმარტება:*** „მეორე ფრონტის ერთ-ერთი მხარდამჭერი მიშაა, თუ ვინმეს შიდა ძალებიდან ამ ქვეყანაში არეულობა უნდა სწორედ, რომ ყოფილი მთავარსარდალია, მაგრამ კანონს და სამართალს ვერ გაექცა რომ საკუთარი გეგმა სისრულეში მოიყვანოს“, წამყვანი ისევ ომით შეშინებულ ხალხზე ცდილობს ზემოხსენებული განმარტებით გავლენის მოხდენას.

***მაგალითებით გამდიდრება:*** „მაშინ, როდესაც ყველა თურქეთის ტრაგედიას ვგლოვობთ, კეზერაშვილი-მერაბიშვილის ხელის ბიჭმა, ხაბეიშვილმა, დრო იხელთა და მმართველი პარტიის ლიდერის განცხადების დამახინჯება სცადა“, ერთგვარი დაცინვაცაა, რომ ხაბეიშვილს კეზერაშვილისა და მერაბიშვილის ხელის ბიჭად მოიხსენიებს ავტორი.

***რიტორიკული შეკითხვები:*** „წარმოგიდგენიათ, ახლა ნაცები რომ იყვნენ ხელისუფლებაში რა მდგომარეობა იქნებოდა?!“ ამ რიტორიკული კითხვის შემდეგ, წამყვანი საკუთარ მოსაზრებასვე პასუხობს - „მეორე ფრონტი დაწყებულიც იქნებოდა და დამთავრებულიც, ქვეყანა კი განადგურებული და ბოლომდე ოკუპირებული“.

***ალეგორია:*** „ავიწყდებათ რომ ტყუილს მოკლე ფეხები აქვს“, ირაკლი ჩიხლაძე სრულიად არაფრისგან ცდილობს შემაშფოთებელი სურათის დახატვას, სადაც მატყუარა ნაცმოძრაობა ქვეყანაში დესტრუქციის შემოტანას ცდილობს.

***მეტაფორა:*** „გათითოკაცებული ნაცმოძრაობა“

***შედარება:*** ასე იწყება გადაცემა ”მაშინ როდესაც მშვიდობას დიდი ფასი აქვს, ნამსხვრევებად ქცეული ნაცმოძრაობა ქვეყნის არევასა და მეორე ფრონტზე ფიქრობს შიდა თუ გარე თანამოაზრეებთან ერთად“. გარე თანამოაზრეებში იგულისხმებიან ევროპარლამენტარები თუ ის დიპლომატები, რომლებიც ხელისუფლებას დაკისრებული მოვალეობის შესრულებისკენ მიუთითებენ. ”მარიამ ოშხნელი პარტიის შესახებ, რომელიც უთავო მხედარს დაემსგავსა“, საუბარია ნაციონალურ მოძრაობაზე და შიდაპარტიული არჩევნების შედეგებზე.

***ირონია:*** „ჩვენთან ისევ ქუჩაში დარბიან 2-2 კაცით იაფფასიან სპეკულაციებს დგამენ და ასე ცდილობენ პოლიტიკური დღისწესრიგის შექმნას“, „შესაძლოა ხაბეიშვილმა ვერც კი გაიაზრა რა თქვა ირაკლი კობახიძემ, ამას ცოტა სხვა ინტელექტუალური შესაძლებლობები სჭირდება“ (იღიმის), „სპეკულანტი მსჯავრდებული და მდიდარი დედა, რომელმაც ლობისტებისთვის გადახდილი ფული ფაქტობრივად ქარს გაატანა, თუმცა სააკაშვილი-ალასანიებმა იმდენი ფული დააგროვეს დაკარგული დოლარები არც დააკლდებათ“, ”კომედიური ჟანრის პოლიტიკური საგა გრძელდება გათითოკაცებული ნაცმოძრაობა ახლა ხაბეიშვილის ხელშია“, „კეზერაშვილ-მერაბიშვილის დროებითმა რჩეულმა, რეკორდულად დააჩქარა პარტიის მარტივ მამრავლებად დაშლა“, „პოლიტიკური წონა რომ არააქვს ბოლო ერთი კვირის ქრონოლოგიაც მოწმობს. ხაბეიშვილის დაძახილზე ქუჩაში 5-6 კაცი თუ გამოდის“(კვლავ იღიმის).

**მე-6 გადაცემა: 19/02/2023.** ირაკლი ჩიხლაძემ, 19 თებერვლის გადაცემა საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ბრიუსელში ვიზიტითა და მისი ქება-დიდებით დაიწყო. არ დააყოვნა მიხეილ სააკაშვილისადმი მიმართულმა უარყოფითმა შეფასებებმაც.

ღარიბაშვილის ვიზიტსა და მნიშვნელობას წამყვანი ***განმარტებით*** გვაცნობს - „სიმართლე რომელიც ითქვა მიუნხენში და მოისმინა მთელმა მსოფლიომ საქართველოს პრემიერმა ყველა კითხვას უპასუხა, ღიად თქვა, რომ სააკაშვილი აფერისტია. ამით კი მის ძვირადღირებულ ლობისტებს და ევროპარლამენტართა ნაწილს ცივი შხაპი გადაასხა.“ ამ მცირე განმარტებაში წამყვანმა, ერთგვარი შეფასება და დამოკიდებულება შექმნა მაყურებლისთვის, სადაც ევროპარლამენტარებით დაწყებული, მესამე პრეზიდენტით დამთავრებული, ყველა უარყოფით პერსონაჟად დაასურათხატა.

***მაგალითებით გამდიდრება:*** „ევროკავშირი, თითის ქნევა და მიშას სიმულაციები. უკანონობის, უსამართლობის, მკვლელობის და წამების ლობირება ევროპარლამენტიდან. ასეთი შეფასება მისცა საზოგადოების ნაწილმა სააკაშვილის სამეგობროს მიერ შედგენილ მორიგ რეზოლუციას“, წამყვანი აქ კვლავ მაყურებელთა დარწმუნებას ცდილობს იმაში, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი მის სუბიექტურ აზრს ემხრობა და ამას ამტკიცებს სიტყვებით -„ასეთი შეფასება მისცა საზოგადოების ნაწილმა“. ამ ფარული ხერხითა და მოსახლეობის დამოწმებით გარკვეულ ავტორიტეტს ქმნის, რომ ზემოქმედების ეფექტი ერთი-ორად გაზარდოს. „ევროპარლამენტის ვიცე პრეზიდენტი კორუბციის ბრალდებით ციხეში ჰყავთ მისი ადვოკატები ამბობენ რომ აწამებენ გაყინულ საკანში არის მოთავსებული და მცირეწლოვნაი შვილიც კი ძლივს აჩვენეს. აი, ასეთ დროს თავს უფლებას აძლევენ პატიმარ მიშაზე შეწუხდნენ, რომელიც არა თუ ციხეში, ვივამედის ყველაზე კომფორტულ პალატაშია მოთავსებული“, ეს მაგალითი მოყვანილია იმისთვის, რომ საზოგადოებას უთხრას - ნახეთ, პრობლემები ევროპარლამენტარებსაც აქვთ და რჩევებს ჩვენ რა უფლებით გვაძლევენ, რაც მოსახლეობის შეცდომაში შეყვანასა და მათში ევროპულისადმი უარყოფითი დამოკიდებულების გაღვივებას ემსახურება.

***შედარება:*** ”საცირკო წარმოდგენა ევროპის პოლიტიკურ დედაქალაქში 3 დღის წინ გაიმართა”, წამყვანი 15 თებერვალს მიღებულ რეზოლუციაზე საუბრობს, რომელიც საქართველოს მთავრობას მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლებას მოუწოდებს. აღსანიშნავია კენჭისყრის შედეგები, 577 ხმა 33-ის წინააღმდეგ. გამოდის, ირაკლი ჩიხლაძემ

610-მდე ევროპარლამენტარი ცირკის წევრებს, ხოლო კენჭისყრის პროცესი საცირკო წარმოდგენას შეადარა მაშინ, როდესაც ქვეყანას ევროპულ ოჯახში მოხვედრაზე აქვს პრეტენზია. წამყვანმა ეს არ იკმარა და მონოლოგი შემდეგნაირად განაგრძო:- „თვალებახვეული ევროპელი თემიდას ვერდიქტი უფორ სამართლიანია ვიდრე ევროპარლამენტიდან კონკრეტული დეპუტატების თვალით დანახული და შეფასებული ქართული მართლმსაჯულება და მიშას პოლიტიკური მართლმსაჯულება“

***ირონია:*** „რამდენიმე ევროპარლამენტარმა ისედაც იმიჯშელახული და ნდობადაკარგული პარლამენტი კიდევ უფრო სასაცილო მდგომარეობაში ჩააგდო. მიიღეს რეზოლუცია რომელიც კრიმინალ სააკაშვილს მფარველობს და რეალურად ჩალის ფასი აქვს“, ბოლოს იყენებს შედარებასაც. „კუბილიუსი ფიქრობს რომ ჩვენ ქვეყანაში კანონიც თვითონ არის, სამართალიც, მთავრობაც, ოპოზიციაც. მმართველი პარტიაც და თუ მიშას თავისუფლებას არ მისცემენ ქვეყანა ევროპულ მომავალსაც დაკარგავს“.

***ირონია:*** აბა ხაბეიშვილი რომელი კანონპროექტის მომსმენი და წამკითხველია

**მე-8 გადაცემა: 12/03/2023.** მარტის აქციების შემდეგ, ტელევიზია სრულად მოიცვა მიმდინარე მოვლენების განხილვამ და შეჯამებამ. დაკვირვების ქვეშ მყოფი საავტორო გადაცემებიდან ორი, პირდაპირი ეთერითაც კი აწვდიდა საზოგადოებას ინფორმაციას. ამ დროს, წამყვანი „იმედის კვირის“ ეთერში „ქათული ოცნების“ მიღწვებზე საუბრობდა. ასეთივე იყო 12 მარტის გადაცემა, სადაც წამყვანმა ჩვეულ წესს უღალატა და სტუმრად ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი მოიწვია. მოგეხსენებათ, გადაცემის ფორმატი რეპორტაჟებს მოიცავს და წამყვანს სტუმრები არ ჰყავს. ეთერი დიალოგის რეჟიმში მიმდინარეობდა და სრული გადაცემა მოიცვა. წამყვანი რესპონდენტთან ერთად განიხილავდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. მარტის აქციებთან დაკავშირებით სტუმრისა და მასპინძლის შეხედულებები სრულიად ემთხვეოდა ერთმანეთს, კითხვებიც იმგვარად იყო დასმული, რომ ირაკლი ღარიბაშვილს უკეთ აეხსნა საზოგადოებისთვის რა შეცდომაში შეიყვანა დესტრუქციულმა ოპოზიციამ საოგადოების უმრავლესობა, მათ შორის სტუდენტები, რომლებსაც პროოპოზიციული ძალები „მართავდნენ“.

## 3.2. გიორგი თარგამაძის ფორმულა

გიორგი თარგამაძის საავტორო გადაცემა, რომელიც ტელეკომპანია „ფორულას“ ეთერში, ყოველ ოთხშაბათს 21:00 საათზე გადის, საკმაოდ კრიტიკულია. ავტორს მისთვის დამახასიათებელი სტილი აქვს, რომელიც გადაცემის „თარგამაძისეული“ ედიტორიალით დაწყებას მოიაზრებს. აქ წამყვანი სხვადასხვა რიტორიკული ხელრხებით საუბრობს მიმდინარე მოვლენებზე, ხელისუფლებაში მომხდარ საკითხებს კი ირონიისა და დადებითი შინაარსის შემცველი ზედსართავებით გადმოსცემს, რაც ტექსტს მეტად სარკასტულს ხდის.

რიტორიკული ანალიზის მეშვეობით, უფრო დაწვრილებით წარმოგიდგენთ რა ვერბალური ფორმით ცდილობს იგი სათქმელის აუდიტორიამდე მიტანას და რა კონოტაცია შეიძლება ჰქონდეს თითოეულ სიტყვასა თუ წინადადებას.

**პირველი გადაცემა: 11/01/2023** - გიორგი თარგამაძემ ეთერი ჩვეული ედიტორიალით დაიწყო, რომლის პირველ წინადადებაშივე იგრძნობოდა სარკასტული და ირონიული დამოკიდებულება. ის დადებითი შინაარსის მქონე ზედსართავებს იყენებს, რომ სარკასტული ეფექტი გააძლიეროს. თერთმეტი იანვრის გადაცემაში განსახილველი თემა ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე ამბები, მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობა და ქართული ოცნების დასავლური სამყაროსადმი დამოკიდებულების განხილვა იყო.

***განმარტება:*** ”სწორედ ეს არის 2023 წლის ჩემი მთავარი პროგნოზი, რასაც თვალი უნდა გავუსწოროთ”, ეს განმარტება მოწოდებასავითაა, სადაც საზოგადოებას წამყვანი უხსნის, რომ აგენტების კანონი უკვე პარლამენტშია და ხელისუფლება თვითნებურად მოქმედებს. ”ძალადობის ლეგიტიმაცია. გიგიშას და მისნაირებს მწვანე შუქი აქვთ ანთებული, ფიზიკურად გაუსწორდნენ ნებისმიერს, ვინც ხელისუფლებას თვალში არ მოსდის“, აქ

წამყვანი განმარტავს თუ როგორ დაესხა თავს ვანო მერაბიშვილს გია გაჩეჩილაძის, იგივე „უცნობის“ სიძე, გიგიშა შარაშიძე. აღნიშნული კი „რუსთავი 2-თან“ საუბრისასაც დაადასტურა. გიროგი თარგამაძე ამ საკითხით ხელისუფლების გაკრიტიკებას ცდილობს და სურს საზოგადოებას დაანახოს რა მდგომარეობაა ქვეყანაშა.

***მაგალითებით გამდიდრება:*** ” ზუსტად ვიცი, ის ოჯახი და ის კაცი, რომელიც უკვე კარგა ხანია არაფორმალურად მართავს ამ ქვეყანასა და ბატონ შათირიშვილზეც, რბილად რომ ვთქვათ, დიდი გავლენა აქვს“, საუბარია ბიძინა ივანიშვილის გავლენაზე.

***შედარება:*** ”საბჭოთა პროპაგანდისტული ტრადიციებით შეზავებული ისტერიის მორიგი შემთხვევა, ბევრს სასაცილოდ შეიძლება მოეჩვენოს“, წამყვანი აქ ქართული ოცნების წარმომადგენელთა განცხადებებს გულისხმობს, რომლებიც ანტიდასავლური შინაარსის შემცველია. „საქმე გვაქვს საზოგადოებრივი აზრის მანიპულაციისა და მის წიაღში ექსტრემისტული, შავრაზმული მოთხოვნების კულტივაციის პროცესთან”, შავრაზმულ ხელისუფლებად ოპოზიციის წარმომადგენლები ქართულ ოცნებას ხშირად მოიხსენიებენ და ამით ცდილობენ ისინი აქციის დამშლელ, სპეციალური სამსახურის წარმომადგენლებთან გააიგივონ, რომლებიც არაპროპორციული ძალების მეშვეობით ცდილობენ საზოგადოების დამორჩილებას.

***ირონია:*** ”ახალი ამბავი გავიგე: თურმე, ამერიკას - პრეზიდენტი ბაიდენი და კონგრესი კი არა, რამდენიმე მდიდარი და გავლენიანი ოჯახი მართავს, ეს ადამიანები კი არაფორმალურად მართავენ მსოფლიოსაც. ეს მოკლე შინაარსია იმ ვრცელი ტექსტისა, რომელიც ივანიშვილთან დაახლოებულმა ფილოსოფოსმა, სახელისუფლებო ტელევიზიების საშუალებით წარმოგვიდგინ“, ”არ ვიცი, ვის გულისხმობდა პატივცემული ფილოსოფოსი, ალბათ, მასონებს - მასებისთვის უფრო გასაგები რომ იყოს“ (მთელი მონოლოგის განმავლობაში იღიმის). ”გრძელდება ღია რეპრესიები ქუჩაში: აბა სადმე თუ გსმენიათ, დამნაშავემ ტელევიზიით თავად გაახმაუროს საკუთარი დანაშაული? ახალი წლის დღეებში ხელისუფლების კონტროლირებადი მედიის გამხსნელ სიუჟეტებში

რიხიანად გვიყვებოდნენ, თუ როგორ სცემა ვინმე გიგიშამ ყოფილი პრემიერი, რასაც თავად გიგიშაც ამაყად ადასტურებს“ (იღიმის).

აღსანიშნავია, რომ გადაცემაში მხოლოდ ოპოზიციის წარმომადგენლები არიან მოწვეულნი.

**მე-2 გადაცემა: 18/01/2023** - თვრამეტი იანვრის ეთერი შედარებით ნეიტრალური იყო, ავტორმა გადაცემა უკრაინაზე საუბრით დაიწყო. აღსანიშნავია ისიც, რომ წამყვანს ეთერი ედიტორიალით არ დაუწყია. ასევე, დრო დაეთმო სერგეი ლავროვის განცხადებას, სადაც საქართველო და მისი ხელისუფლება შეაქო. გადაცემის ამ ნაწილში წამყვანი მეტად სარკასტული იყო.

***რიტორიკული კითხვები:*** ”მიდის თუ არა ხელისუფლება ხალხის ნების წინააღმდეგ?!“, „რისთვის ამზადებს ის ნიადაგს?“, აქ წამყვანი ცდილობს მაყურებელი დააეჭვოს იმაში, რომ მათი კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებები იზღუდება და ამას ხელისუფლება რუსეთთან დაახლოებისთვის მიმართავს. აქვე ურთავს გურამ მაჭარაშვილის განცხადებას, სადაც ის ამბობს, რომ ნატოსა და ევროკავშირს საქართველოს პოლიტიკურ თვითმიზნად არ მიიჩნევს.

***ირონია:*** „ნატო და ევროკავშირი ჩვენ თვითმიზანს არ წარმოადგენს, თქვა პალიტრაში გურამ მაჭარაშვილმა. ცალკე აღებული, ამ ერთი დეპუტატის ბიოგრაფიას ან გავლენას თუ შევხედავთ მის განცხადებას მედია განსაკუთრებულ ყურადღებას, ალბათ არც მიაქცევს“ , „ფაქტია, ლავროვისა და პრემიერ ღარიბაშვილისთვის სიტყვა - ვაჟკაცობას ერთი შინაარსი აქვს“, „ხალხის ძალას პოლიტიკური წონას ივანიშვილთან კავსირი სძენს“.

აღსანიშნავია, რომ გადაცემაში მოწვეული სტუმრები მხოლოდ ოპოზიციური პარტიიდან იყვნენ. ნაციონალურ მოძრაობაში შიდაპარტიულ არჩევნებზე საუბრისას, გიორგი თარგამაძემ ნიკა მელიას მიმართა და უთხრა, რომ თუ მისი სურვილი იქნება „ფორმულას“ ეთერი ყოველთვის მზად არის ის სტუმრად მიიღოს და დრო დაუთმოს. მიმართვასთან ერთად, ეს ერთგვარ საყვედურსაც ჰგავდა, რადგან საუბრისას მან შემდეგი რამ ახსენა:-

„სწორედ ლევან ხაბეიშვილი იყო ნიკა მელიას სამიზნე მედიაში მისი ბოლო გამოჩენისას, რომელსაც გაურკვეველი ტრადიციის გამო, ამ ბოლო ხანებში მხოლოდ ერთ არხზე აწარმოებს“.

**მე-3 გადაცემა: 25/01/2023.** 25 იანვრის გადაცემა კვლავ ედიტორიალით დაიწყო, თუმცა იმ განსხვავებით, რომ წამყვანმა სრული ეთერი ნაციონალურ მოძრაობასა და შიდაპარტიულ არჩევნებს დაუთმო, სტუმრად კი ნიკა მელია და პეტრე ცისკარიშვილი ჰყავდა მოწვეული. ეთერი არ გამოირჩეოდა სარკასტული და ირონიული შინაარსის შემცველი ტექსტებით. ამავდროულად, ემსახურებოდა ზემოხსენებულ პარტიაში ჩანიშნული არჩევნების მნიშვნელობას, რაც წამყვანმა რამდენჯერმე შეაფასა დადებითად და აღნიშნა - „რაც ხდება - ქართული დემოკრატიისთვის უკეთესია“.

***შედარება:*** ”ხელისუფლება თუ ოპოზიცა, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა ცვლილებებისა და შიდაკონკურენციის არარსებობის და უძრაობის გამო რუდიმენტებად იქცნენ“, აქ წამყვანი ცდილობს ნაციონალური მოძრაობის შიდაპარტიული არჩევნების მნიშვნელობა დაანახოს მაყურებელს და ყველა სხვა პოლიტიკოსს რუდიმენტებად მოიხსენიებს, რითაც მათ მნიშვნელობა დაკარგულად წარმოაჩენს.

**მე-4 გადაცემა: 01/02/2023** ეთერი მთლიანად მოიცვა მიხეილ სააკაშვილის თემამ და იმ ვიდეომასალამ სადაც პატიმრობაში მყოფი ექსპრეზიდენტის დაუძლურებული სხეული ჩანს. წამყვანის კრიტიკა მიმართული იყო, არა მხოლოდ ხელისუფლებისადმი, არამედ ყველა ოპოზიციური ძალისადმი, რომელთაც გიორგი თარგამაძე ავალდებულებს მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობასა და სიკვდილ-სცოცხლის საკითხზე კონცენტრირდნენ.

***განმარტება:*** ეთერს წამყვანი შემდეგი ტექსტით იწყებს:- ”როდესაც ლამის პირდაპირ ეთერში, თვალს ვადევნებთ პარალელურად ჩვენი სახელმწიფოს და მისი მესამე პრეზიდენტის ფიზიკური განადგურების პროცესს, გვიჩნდება განცდა, რომ მისი შეჩერება, პირველ რიგში, ყველაზე დიდი ოპოზიციური პარტიის ლიდერების პასუხისმგებლობაა და მათგან კონკრეტულ ნაბიჯებს ველით“, აქ მოიაზრებს როგორც გაერთიანებულ ოპოზიციას, ისე ნაციონალურ მოძრაობასაც და მონოლოგისას ხშირად ამბობს, რომ

მიხეილ სააკაშვილის დაარსებული პარტია, თუკი მას რამე დაემართება დიდხანს ვერ იარსებებს, ან თუ იარსება პოლიტიკურ ძალას დაკარგავს. „სააკაშვილის ფიზიკური განადგურება, ავტომატურად, ნაცმოძრაობის, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის მინიმუმ ამ სახით დასასრულს უდრის".

***მაგალითებით გამდიდრება:*** "..ხაბეიშვილი თუ ჩაფლავდა, მე ისევ აქტუალური გავხდები..", არის პოლიტიკური ახლომხედველობა, მორალურად და ზნეობრივად გაუმართლებელი პოზიცია და ამავე დროს, სრული პრაგმატული სიბეცე", აქ გულისხმობს, როგორც ნიკა მელიას, ისე ყველა იმ ოპოზიციური ძალის წარმომადგენელთ, რომლებიც ნიკა მელიას მხარეს არიან.

**მე-5 გადაცემა: 01/03/2023.** მარტი განსაკუთრებით მძიმე და პოლიტიკურად დატვირთული აღმოჩნდა, როგორც ქართული საზოგადოებისთვის, ისე მედიისთვის. აგენტების რუსული კანონით გამოწვეულმა უკმაყოფილებამ ოპოზიციურ ტელემედიებშიც იჩინა თავი და კონკრეტულ შემთხვევაში, „გიორგი თარგამაძის ფორმულაც" მოიცვა. პირველი მარტის ეთერში, წამყვანი გამირჩეოდა კრიტიკულობით და ყველა წინადადებაში ცდილობდა შეფარვითი ირონიითა და „ვამბობ სხვას ვგულისხმობ სხვას" პრინციპით ესაუბრა. გადაცემის მთავარ სათქმელს კარგად შეესაბამება წამყვანის ეს სიტყვები:- „აგენტების რუსული კანონით გამომცხვარ პუტინისთვის მისართმევ ტორტზე დასადები ღალატის ალუბალი - რუსეთის ვასალობის ფასი".

***მაგალითებით გამდიდრება:*** "ადრე ქვეყნის შიგნით მომწიფებულ მწვავე პროტესტს დასავლეთის თავშეკავებული პოზიცია ამუხრუჭებდა, დღეს ევროკავშირი, შტატები, ბრიტანეთი, ნატო და თვით გაეროც კი განაწყენებას კი არა, გაცხარებას არ მალავს", ამ მაგალითით წამყვანი გვეუბნება რასაც თავად ფიქრობს, მეორე მხრივ კი დარწმუნებისთვის კონკრეტულ ხერხსა და ფორმას მიმართავს. მაყურებელმა აღნიშნული ობიექტურ ჭეშმარიტებად იმიტომ უნდა მიიღოს, რომ ის არა ვინმე რიგითის დამოკიდებულებაა, არამედ გავლენიანი დასავლელი პოლიტიკოსების.

***მეტაფორა:*** ”სასწორზე დევს ქართული სახელმწიფოს ბედი“, აქ წამყვანი მეტაფორულად ცდილობს სასწორს „ოსირისის სამსჯავროს“ დატვირთვა მისცეს, სადაც ეგვიპტური მითოლოგიის მიხედვით, თუკი სასწორზე შემოდებული გული გადაწონიდა მაატის ბუმბულს, იგი საშინელი ურჩხულის მსხვერპლი გახდებოდა. აქ ურჩხულად რუსეთი მოიაზრება, რომლის ხელშიც აღმოჩნდება საქართველო თუკი სასწორი არასწორ მხარეს გადაიხარა. აქვე, გიორგი თარგამაძე იყენებს ***მეტონიმს*** „დამოუკიდებელი, თავისუფალი ქვეყანა თუ **რუსეთის ვასალი,** რომელსაც სულ უფრო მძიმე და **სამარცხვინო ხარკის** გაღება მოუწევს“, რითაც ასოციაციურად მაყურებლამდე მიაქვს ისტორიის ის მონაკვეთი, სადაც ჩვენი ქვეყანა მტრის ხელში იყო და თან ამის გასამძაფრებლად სიტყვა - სამარცხვინოს- შეგნებულად იყენებს. ფაქტობრივად, ეს არის გზავნილი, რომელიც ემოციური დატვირთვის ფონზე პირდაპირაა გამიზნული აუდიტორიაზე მანიპულირებისთვის.

***შედარება:*** ”ოცნების მხარდამჭერთა ძირითადი ნაწილი, თეორიულადაც არ უშვებდა შესაძლებლობას, რომ საქართველო დასავლეთიდან თავს სრულად გაირიყავდა და ღუზას რუსულ ჭაობში ჩაუშვებდა“, ამ ტექსტში წამყვანი ქართული ოცნების პოლიტიკურ გზას რუსულ ჭაობად მოიხსენიებს. ეს ის პერიოდია, როდესაც უცხოურ აგენტთა კანონის დამტკიცების საკითხი იდგა დღის წესრიგში და ჭაობში ჩაშვებული ღუზაც ამის მეტაფორული **მაგალითია.** „რეალობას თუ თვალს გავუსწორებთ, დავინახავთ, რომ ივანიშვილის მარიონეტების ანტიკონსტიტუციურ ქმედებებს“, ბუნებრივია, წამყვანი მარიონეტებას ქართული ოცნების წარმომადგენლებს ადარებს.

***ირონია:*** ”ივანიშვილი კრედიტსუისთან დაუბადებელი შთამომავლობის კეთილდღეობის გარანტიებზე დავობს”, „შიდა ლეგიტიმაციას რაც შეეხება, მისი დეფიციტი ოცნებას 2020 წლის არჩევნების საეჭვო შედეგის გამო, ისედაც ჰქონდა“, „აგენტების რუსული კანონითა თუ ჰააგის მიერ გამართლებული საქართველოს მიმართ, ომის დანაშაულის რუსული ფაბულით გამოძიების განაცხადი თავად ოცნების მხარდამჭერთა უმრავლესობისთვისაც ნამეტანია, ინგლისურად რომ ვთქვათ, Too much! მათი ნაწილისთვის კიდევ უფრო გასაგებ ენაზე - Это уж слишком!“ (იღიმის). ”შევაფასოთ კანონპროექტის ინიცირება და იმ იდეების

რომლებზეც სიამოვნების ბუსუსები ალბათ მხოლოდ კრემლში აყრით“, სწორედ ამ ირონიული შეფასებით გადადის წამყვანი სტუმრების ბლოკზე.

**მე-6 გადაცემა: 08-09/03/2023.** ცხრა მარტის გადაცემა სრულიად განსხვავებული ფორმატი ჰქონდა, რადგან ქვეყანაში მოსახლეობის სრული მობილიზაცია იყო  უცხოეთის აგენტების კანონის წინააღმდეგ. პარლამენტის წინ მიმდინარე აქციას პირდაპირ ეთერში უჩვენებდა „გიორგი თარგამაძის ფორმულა“ და მთელი ღამის განმავლობაში მაუწყებლობდა. ეთერი რვა მარტს , 21:00 საათზე დაიწყო და მეორე დღემდე, სანამ სიტუაცია არ განეიტრალდა, საზოგადოებას სიტყვა-სიტყვით უყვებოდა მიმდინარე მოვლენების შესახებ. ფაქტობრივად, საგანგებო ეთერის რეჟიმში მუშაობდა საავტორო გადაცემის წამყვანი და მისი გუნდი.

გიორგი თარგამაძე სრულად იყო ორიენტირებული ხალხის მდგომარეობაზე, რომელთა დაშლაც პოლიციამ ცრემლსადენი გაზითა და წყლის ჭავლით დაიწყო. ვერბალურ კომუნიკაციაში რამდენჯერმე გამოიკვეთა **შედარების** მაგალითები, კერძოდ: „ივანიშვილის მარიონეტულმა მთავრობამ უნდა გაიწვიოს რუსული კანონი“. ასევე, ჩანდა **ირონიაც** - „ეს არის ქართული ოცნების ბოლო შანსი რომ შეინარჩუნოს რეპუტაციის ბოლო ნაგლეჯი, რომელიც საკითხავია საერთოდ აქვს თუ არა“.

აღსანისნავია, რომ მთელი რამის განმავლობაში მაუწყებლობისას წამყვანი პროფესიონალურად უძღვებოდა დაკისრებულ მოვალეობას, არ ცდილობდა ზედმეტი პანიკისა და აჟიოტაჟის ფონზე სიტუაციის გართულებას. ამავდროულად, იყო მშვიდი და გაწონასწორებული.

**მე-7 გადაცემა: 15/03/2023.** ეთერი სრულიად დაეთმო 8-9 მარტის აქციებს. წამყვანი კვლავ მიმართავდა კრიტიკასა თუ ირონიას ვერბალურ კომუნიკაციაში. „როდესაც სომხებს ჰყოფნით ღირსებაც და გამბედაობაც, საკუთარი თანამემამულე მარგარიტა სიმონიანი პერსონა ნონ გრატად გამოაცხადონ, საქართველოს პრემიერი საკუთარ გენიტალიებზე სოლოვიოვის კომპლიმენტებს იფერებს“, ასეთი კრიტიკული და თამამი იყო გადაცემის დასაწყისი. წამყვანი სუბიექტურ აზრსაც ხშირად აფიქსირებდა და მის მომხრეებად

საზოგადოებაც მოჰყავდა. „პირადად მე, ისევე როგორც ბევრი ამ ქვეყანაში, სკეპტიკურად ვარ განწყობილი, რომ ეს მთავრობა საკუთარი ნებით რამეს გააკეთებს.“

***რიტორიკული კითხვები:*** რა ჯანდაბა გვჭირს?!

***განმარტება:*** ”დღეს უკვე არსებობს ფართო საზოგადოებრივი კონსენსუსი იმის თაობაზე, რომ კობახიძე-ღარიბაშვილის ტანდემი რუსულ მთავრობას განასახიერებს. ასეთი კონსენსუსი მომწიფდა ვაშინგტონსა და ბრიუსელშიც."აქ წამყვანი, კვლავ „ავტორიტეტს“ იმოწმებს, რომლის სიტყვასაც პოლიტიკური წონა აქვს მსოფლიოში. მაყურებელზე ზემოქმედების ამ ხერხს ის ხშირად მიმართავს და განსაკუთრებული ოსტატობითაც.

***ალეგორია:*** ”ხალხის ძალა აღმართსაც ხნავს და "ხალხის ძალასაც" „საქართველოში ყოველთვის იყვნენ და მომავალშიც იქნებიან ისეთები, რომლებიც "აღმა ხნულის დაღმა ფარცხვას" შეეცდებიან.“ გურამიშვილის „დავითიანიდან“ წამოსული და ქართული სინამდვილისთვის კარგად ნაცნობი კონცეფცია „კახელების აღმა ხნული ქართლელებმა დაღმა ფარცხეს“, წამყვანმა ძალიან კარგად მოარგო ქვეყნის იმ რეალობას, რომელიც ღრმა ტრაგიკული ტკივილია საქართველოსთვის.

***შედარება:*** ”რუსი ოლიგარქის ღირსებისგან დაცლილი რუსული მთავრობა, რომელიც მხოლოდ რუსულ ინტერესებს ემსახურება“, ”საგარეო უწყების ხელმძანელი ლავროვის თუ ზახაროვას აშკარად მტრულ განცხადებეზე შეშინებული კურდღელივით დუმს.“

***ირონია:*** ”ქართველი ერის ჭეშმარიტი ძალა "აღმართს", ფსევდო "ხალხის ძალას" და რუსულ ოცნებად ტრანსფორმირებულ *ქართულ ოცნებასაც* ერთად მოხნავს!“.

**მე-8 გადაცემა: 22/03/2023.** აღნიშნული გადაცემა „მარტის აქციების“ შემდგომ მიმდინარე მოვლენებს შეეხებოდა. წამყვანმა ყურადრება გაამახვილა სამომავლო გეგმებზე. ასევე, განიხილა ივანიშვილისა და მისი პარტიის იმჟამინდელი მდგომარეობა. აღსანიშნავია მისი თამამი მოწოდებები - „საუკეთესო საშუალება თავდასხმაა, ამიტომ კრიტიკულად განწყობილი საზოგადოება ხელისუფლების მხრიდან მორიგ თავდასხმას არ უნდა დაელოდოს და თავად შეუტიოს.“ ბუნებრივია, ზემოხსენებულში შესაძლებელია

სუბიექტური აზრის ამოკითხვაც. ყველაფერთან ერთად, წამყვანი კრიტიკულობითაც გამოირჩეოდა - „დღევანდელი სხდომა ერთ-ერთი სამარცხვინო ფურცელია პარლამენტარიზმის ისტორიაში“. აქ საკითხი ეხება ტარიელ ნაკაიძისთვის მაგიდის მიკროფონის ჩარტყმას და დაპირისპირებას პარლამენტში.

***განმარტება:*** „რეპრესიების ახალი ტალღაა მოსალოდნელი კულტურისა და განათლების სფეროშიც, რომელიც სერიოზულ გავლენას ახდენს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე. დღეს ხელისუფლების ამოცანაა განათლების სისტემიდან ურჩებისა და "პრობლემების შემქმნელების" ბოლომდე გაწნეხვა.“

***მაგალითებით გამდიდრება:*** „ოცნება გვეუბნება, რომ კობახიძე და ღარიბაშვილი დაარქმევენ აგენტს და ჯაშუშს იმას, ვისაც საჭიროდ ჩათვლიან, დიტო სამხარაძეს მიუგდებენ საჯიჯგნად ცნობილ ადამიანებს, თუ უცნობ სტუდენტებს და საერთოდაც, ამ ქვეყანას აქცევენ იმად, რა წარმოდგენაც თავის ხალხზე ივანიშვილს აქვს“. ამ მაგალითში განსაკუთრებით საყურადღებოა სტუდენტების დადანაშაულების საკითხი და ხელისუფლების მათდამი დამოკიდებულება, რამაც ხალხშიც პროტესტი გამოიწვია, ამ პროტესტით გამოწვეული ეფექტის ჩახშობას კი წამყვანი ნამდვილად არ ცდილობს. ასევე, აღსანიშნავია ხელისუფლების დეპუტატის დიტო სამხარაძის ხსენება, რომელიც გადაცემამდე 2 დღით ადრე, ერთ-ერთმა მოქალაქემ მუქარაში დაადანაშაულა და მიმოწერის სქრინები გაავრცელა.

***ალეგორია:*** „ერთი მოქნევით პოლიტიკურ ოპოზიციას, სამოქალაქო საზოგადოებასა თუ კრიტიკულ მედიას თავები დააყრევინოს“, წამყვანი აქ მიანიშნებს, რომ ყველა ვინც ხელისუფლებასთან არაა დაკავშირებული საფრთხის ქვეშაა.

***მეტაფორა:*** „დანიშნულების ადგილი - რუსული გაჩერება და რუსული მმართველობითი მოდელი იგივეა. ამიტომ, მუხრუჭს ფეხს ნელ-ნელა უშვებს და აქსელერატორს აწვება.“ ”ივანიშვილი უბრალოდ წუთშესვენებას იღებს იმისთვის, რომ "ხმალი", რომელიც რეჟიმის სახით ხელში უპყრია, კარგად ალესოს“.

***ირონია:*** „ოცნების პარლამენტი სავსეა ხალხით, რომელთა გვარებს მარტო მაშინ იგებთ, როცა რუსულ კანონს იღებენ, ან მიკროფონებით კოლეგებს საცემრად დასდევენ“ (იღიმის), „რა უნდა პარლამენტში დეპუტატს რომელსაც მიკროფონი ძირითადად თავში ჩასარტყმელად სჭირდება“ „მდუმარე დეპუტატი ლევან მგალობლიშვილი სულ ორჯერ მოხვდა მედიის ფოკუსში, ორივე შემთხვევაში ან მუშტი-კრივით იყო დაკავებული, ან ტარიელ ნაკაიძისთვის თავში მგიდის მიკროფონის ჩარტყმით“. „გაიხსენეთ, რომ ოცნების პარლამენტის სახე დიტო სამხარაძეა“, „ნაცვლად იმისა, რომ პატრონს ამ ადამიანების ჩანაცვლება დაეწყო, ისე როგორც გავრილოვის ღამის შემდეგ გააკეთა, ის ასეთ დათმობაზე არ წავიდა“, ”ივანიშვილის ხელისუფლება მოსახვევში სერიოზულად მოსრიალდა“.

**მე-9 გადაცემა: 29/03/2023.** საკვლევი პერიოდის ბოლო გადაცემა მე-20 საუკუნეში მოღვაწე პატრიარქის, ამბროსი აღმსარებლის (ხელაიას) გარდაცვალებისა და ხსენების დღეზე საუბრით დაიწყო. ედიტორიალის ნაწილს, რომელიც გადაცემის ტრადიციული დასაწყისია წამყვანმა „კათალიკოსი ამბროსი - ქრისტიანული ნონკონფორმიზმი“ დაარქვა. სათაურიდანვე შესაძლებელია გარკვეული მინიშნებების ამოკითხვა, კერძოდ „ქრისტიანული ნონკონფორმიზმიდან“, რაც ასოციაციურად დაკავშირებულია საპატრიარქოს დღევანდელ მდგომარეობასთან, ოღონდ არა ნონკონფორმიზმის, არამედ კონფორმიზმისა და უსიტყვო მორჩილების თვალსაზრისით, ხელისუფლების მიმართ. ეს, ერთგვარ ირონიადაც შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან მთელი მონოლოგის განმავლობაში წამყვანი საუბრობს ამბროსი აღმსარებლის გმირულ საქციელზე, მის დამოკიდებულებასა და როლზე მე-20 საუკუნის საქართველოში, ბოლოს კი სვამს კითხვებს, თუ რას იზამდა დღევანდელ რეალობაში ის და აქვე ამატებს, რომ ის აუცილებლად დადგებოდა ისტორიის სწორ მხარეს. ”ის შეეწინააღმდეგებოდა ბნელ, ფსევდო-ქრისტიანულ პროპაგანდას, რომელიც პუტინის რუსეთის სიველურეს და კაცობრიობის, ქრისტიანობის წინაშე ჩადენილ მძიმე დანაშაულებს ამართლებს. ის დადგებოდა ქვეყანაში თუ ეკლესიაში რუსული გავლენების წინააღმდეგ და აქტიურად იბრძოლებდა საქართველოს ევროპული მომავლისთვის“. გადაცემის წამყვანი კვლავ შეფარვითა და კორექტულად აგზავნის

მინიშნებებს, რომლებიც ცხვრის ტყავში გახვეული მგელივით უწყინარი შეიძლება მოგეჩვენოთ.

***მაგალითებით გამდიდრება:*** "ვიცი შენი საქმენი: არც ცივი ხარ, არც ცხელი; ო, ნეტა ან ცივი იყო ან ცხელი! მაგრამ რაკი ნელ-თბილი ხარ, არც ცივი და არც ცხელი, ამიტომ ამოგანთხევ ჩემი პირიდან", - იოანეს გამოცხადება. თავი 3. ასე სრულდება გიორგი თარგამაძის მონოლოგი, რომელიც ამბროსი აღმსარებელს ეხებოდა, მისი სახელით კი საპატრიარქოსკენ იყო მიმართული. ბიბლიის დამოწმებით კვლავ დარწმუნების ეფექტურ ხერხებს მიმართავს, ქართველი ერისთვის ბიბლია გააზრებით თუ გაუაზრებლად, ხელშეუხებელია და ბეჭედ დასმული საბუთია, რომელშიც ეჭვს ვერ შეიტან. ეს ნელ-თბილობა კი საპატრიარქოს გადაწყვეტილებებთან ასოცირდება, რომლებიც ორაზროვნებით გამოირჩევა.

***რიტორკული კითხვები:*** „სად იქნებოდა მეოცე საუკუნის წმინდანი დღევანდელ ეპოქაში, ვის მხარეს იდგებოდა ამბროსი აღმსარებელი დავითისა და გოლიათის ბრძოლაში?“, ეს კითხვაც საპატრიარქოსკენაა მიმართული, რადგან წამყვანი შემგომ განმარტავს, რომ ეკლესიას მუდამ უწევდა სახელმწიფო საქმეებში ჩარევა და დიდ როლსაც თამაშობდა მიმდინარე მოვლენების განვითარებაში. ამავდროულად, „დავითისა და გოლიათის ბრძოლა“ მეტაფორულად რუსეთ-უკრაინას გამოხატავს, სადაც მაინც კეთილი ამარცხებს ბოროტს.

***შედარება:*** ”კითხვები ხაბეიშვილს პარტიაზე, მიშაზე, პარტნიორებზე და განდგომილებზე“, განდგომილების ხსენებისას კადრში ჩანს ხატია დეკანოიძე, რომელიც პარტიას გამოეყო, სიტყვიერად მასზე წამყვანი არაფერს ამბობს. ამით იკვეთება ისიც, რომ გიორგი თარგამაძე, არა მხოლოდ ვერბალურ, არამედ ვიზუალურ მასალასაც იყენებს გავლენის მოსახდენად. ასეთივე ხერხს იყენებს კობახიძის დახასიათებისასა, კერძოდ: „სექსუალური შევიწროვების სკანდალი და ივანიშვილის ოცნების კონსერვატორული ბუნების ნამდვილი სახე“ კადრში ამ დროს კობახიძე ჩანს.

***ირონია:*** „დღეს მემგონი ბატონმა კობახიძემ თავისი შეურაცხყოფის რეკორდი მოხსნა“, „ქვეყის ჩრდილოვანი მმართველი, რომლის გარეშეც ქვეყანაში არაფერი წყდება, ვგულისხმობ ივანიშვილს, ტიკტოკში თუთიყუშებთან ერთად გადაღებულ ვიდეოს აქვეყნებს და არაფერი აწუხებს“

## 3.3. „ღამის მთავარი“

ეკა კვესიტაძის გადაცემა, „ღამის მთავარი“ მთავარი არხის ეთერში ყოველ სამსაბათს 22:00 საათზე გადის. წამყვანი არ მალავს თავის ოპოზიციურ განწყობას ხელისუფლების მიმართ, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ოპოზიციის წარმომადგენელთა მიმართაც ხშირად აქვს კრიტიკული დამოკიდებულება. სარკაზმი და ირონია, განსხვავებით გიორგი თარგამაძის გადაცემისგან, პირდაპირია და არანაირი შეფარვით არ ცდილობს კვესიტაძე მაყურებელი მიახვედროს თუ ვის გულისხმობს. პირიქით, პირდაპირ ასახელებს კონკრეტულ პირებს, რომელთაც მიემართებათ სარკასტული და კრიტიკული ტონი. უფრო დაწვრილებით, თითოეული გადაცემის განხილვისას შეიტყობთ.

**პირველი გადაცემა: 10/01/2023.** აღნიშნული ეთერი გასული წლის შეჯამებითა და ახალი წლის მოლოდინებზე საუბრით დაიწყო. წამყვანი დამცინავი ტონით საუბრობდა ხელისუფლებაზე და სურვილზე, რომელსაც, წამყვანის თქმით, „მთავარი არხის“ განადგურება მოიაზრებდა. გადაცემის თემები გახლდათ თორმეტპუნქტიანი გეგმა, პოლიტპატიმრები. ეთერის დიდი ნაწილი დაეთმო მეორე ბლოკს, სახელწოდებით - „როგორ კლავენ ქვეყნის მესამე პრეზიდენტს“

***განმარტება:*** „არც პოლიტიკაა და არც სამართალი, რადგან ადრე თუ გვიან ხელისუფლებები მიდან და მოდიან, ისტორიას კი მხოლოდ ადამიანები რჩებიან“, წამყვანი ამით საზოგადოებას უხსნის, რომ „ქართული ოცნების“ მმართველობა მალე დასრულდება და ერთგვარად აფრთხლებს, რომ მხოლოდ ისტორიის სწორ მხარეს მდგომი საზოგადოება გადარჩება.

***მაგალითებით გამდიდრება:*** „11 წელია სათავეშია მეოცნებეების ხელისუფლება, რომელიც სისხლით თუ უსისხლოდ ანგრევს ქვეყანას, ოპონენტებს დევნის, პარტნიორებს აგინებს, მედიას დევნის და მოსახლეობას ატყუებს“.

***შედარება:*** “ბრძოლის რა ხერხიც არ უნდა გამოიყენოს ოლიგარქის რეჟიმმა“, „მეოცნებეების რეჟიმი სხვა არაფერია თუ არა ძალადობისა და რეპრესიების დაბრუნება ქვეყანაში“. ოლიგარქი, ბუნებრივია, ბიძინა ივანიშვილია, რომლის მეოცნებე პარტიადაც წამყვანი „ქართულ ოცნებას“ მოიხსენიებს.

***ირონია:*** „სტატისტიკა და ეკონომიკური დუღილის საკითხი, ამ ხელისუფლების ძლიერი მხარეა“, აქ ირაკლი ღაიბაშვილის ნათქვამს დასცინის, სადაც ის ამბობს, რომ „ეკონომიკა დუღს“. „ჭკვიანად დგას ურნები და შუქნიშნები, კრიმინალი შესანიშნავ მდგომარეობაშია და მილიონერ ბადრი ესებუას წელსაც ისე ჩაუდგება ხელისუფლება კვალში, როგორც 2021 წელს მისდევდა, მაგრამ ვერ ეწეოდა“, „ის ინსტიტუტები, რომელთა გაძლიერებისთვისაც ქართულმა ოცნებამ არაფერი გააკეთა, მაგრამ მათი დანგრევისთვის ყველაფერი. არაფერი მისცა მოსახლეობას და ყველაფერი გაიღო საკუთარი თავისთვის“.

**მე-2 გადაცემა: 17/01/2023.** ეკა კვესიტაძემ გადაცემის პირველი ბლოკი, დაახლოებით 53 წუთი, სრულად დაუთმო ბუბა კიკაბიძეზე საუბარს, მის პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ მნიშვნელობასა და ქვეყნისთვის გაწეულ ამაგს. მასთან ერთად, ამ საკითხს, მებო ნუცუბიძე და გიორგი კეკელიძე განიხილავდნენ.

აღსანიშნავია გადაცემის მეორე ნაწილი, სადაც ისეთი ოპოზიციური არხის მხრიდან, როგორიც „მთავარია“, გაჟღერდა მრავალი ანტიოპოზიციური კითხვა და წამყვანი გამოირჩეოდა მათდამი კრიტიკით. მაგალითად, სტუმრად მოწვეულ გიორგი ვაშაძეს წამყვანმა შემდეგი კითხვები დაუსვა:- „მართალია, ქართული ოცნება სუსტია ბევრ რამეში, მაგრამ ოპოზიცია თუ არის იმდენად ძლიერი, რომ ეს სისუსტეები სათავისოდ გამოიყენოს?“, „ფიქრობთ თუ არა, რომ ქართული პოლიტიკა გახდა ერთგვარი თავშესაფარი, სადაც ბევრ პოლიტიკოსს არ აქვს ექსპერტიზა პოლიტიკურ საკითხებში. ჩვენ გვაქვს სერიოზული პრობლემა პოლიტიკოსების ძველი თაობის“. ბოლო კითხვა განსაკუთრებით მწვავე აღმოჩნდა, რაც ვაშაძის პასუხშიც შესამჩნევი გახდა მან სათითაოდ დაიწყო იმ პოლიტიკოსთა ჩამოთვლა, რომელთაც, მისი თქმით, „პოლიტიკურ ექსპერტიზას“ ვერ დაუწუნებენ ვერც ჟურნალისტები და ვერც საზოგადოება.

***განმარტება:*** „პალიტრას ეთერში გიორგი ვაშაძეს შეუვარდა ირაკლი ზარქუა, დაუწყო გინება და მუქარა, ეს შემთხვევა იყო გამორჩეული თავისი ამაზრზენობით. ეს არის ერთ-ერთი ჯაჭვი იმ ძალადობის გაგრძელების, რომელსაც ჩვენ ვხედავთ ქუჩაში, პოლიტიკოსებზე თავდასხმისა თუ მოსახლეობაზე ძალადობის სახით“

***მაგალითებით გამდიდრება:*** „ძალადობის პიკი ვნახეთ 5 ივლისს, როდესაც 50 ჟურნალისტი სცემეს, სწორედ ქართული ოცნების ხელმძღვანელების მწვანე შუქის ანთების შედეგად“, ამ მაგალითით წამყვანი ზემოქმედების მოხდენას ცდილობს მაყურებელზე, რაშიც ციფრებსაც იშველიებს და დაზარალებულთა რაოდენობის აღნიშვნით ემოციურ ფონს ამძაფრებს. „ძალადობის ჯაჭვი გრძელდება დღესაც, ამით ჟარგონი რომ ვიხმაროთ ქართულ ოცნებას უნდა გვითხრას ჩვენ დაგაჩმორებთ ყველგან“.

***ირონია:*** „ქართულმა ოცნებამ საქმეები უნდა გაურჩიოს ყველას, აჩვენოს თავისი ვულგარული ძალა, ასევე ვულგარულად“ (იღიმის), „როგორც ზარქუა მოიქცა პალიტრას ეთერში ასეთი ქცევა სტუდიაში ჯერ არ გვინახავს (იღიმის) და მოსალოდნელია, რომ უარესებსაც ვნახავთ“, „ჩვენ მაყურებელს აუცილებლად ვაჩვენებთ მთავარ მომენტებს დაპირისპირებიდან“, ეკა კვესიტაძე, სარკასტულად ამბობს ამ სიტყვებს, რასაც თან ერთვის ირონიული მიმიკები. „ქართული ოცნება ბევრი მიმართულებით ძალიან სუსტია“(ჩაცინების ფონზე ამბობს ამ სიტყვებს). „წლებია ჟურნალისტი ვარ, რა არ მომისმენია, და ასეთი გინება კი ეთერში არასდროს“, ამ დროს სავარძელსაა მიყუდებული, და ირონიულად იღიმის.

**მე-3 გადაცემა: 24/01/2023.** აღნიშნული ეთერის მთავარი თემა, „ნაციონალური მოძრაობის“ შიდაპარტიული არჩევნებია. წამყვანი, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ამ პროცესს შემდეგნაირად განმარტავს:- „ახლოვდება არჩევნები ნაციონალურ მოძრაობაში. ეს პროცესი, პირდაპირ რომ ვთქვათ, საკმაოდ რთული და ბინძური იყო“. ეკა კვესიტაძე ასევე აკრიტიკებს კანდიდატებს და აღნიშნავს, რომ მათი საზრუნავი მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლება უნდა იყოს და არა ძალაუფლების ხელში ჩაგდება. ამავდროულად, არ მოსწონს, რომ სატელევიზიო ეთერში დებატებს არცეთი მათგანი დასთანხმდა და მკაფიოდ აფიქსირებს სუბიექტურ აზრსაც, რომელიც მიზანმიმართულია საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების გადმოსაცემად.

***განმარტება:*** „სამწუხაროდ, ვერცერთი მედიის ეთერში ვერ მოხერხდა ის, რომ ოთხივე კანდიდატი დამსხდარიყო და ესაუბრა ხედვებზე, რომ სწორედ ხედვათა ჭიდილი

ყოფილიყო ეს საარჩევნო პროცესი და არა ურთიერთბრალდებები, რომლებიც ხშირად ორივე მხარეს არის საფუძველ მოკლებული, თუ ოთხივე ან სამივე მხარეს, როგორ ვუწოდო აღარ ვიცი“(იცინის), ბოლო ნაწილში კარგად ჩანს ირონიული დამოკიდებულება.

ზემოხსენებული გადაცემა სხვა რიტორიკული ხერხების სიმრავლით არ გამოირჩეოდა, რადგან მოწვეული სტუმრები შიდაპარტიულ არჩევნებში მონაწილე კანდიდატები იყვნენ, რომელთაც წამყვანმა იგივე შინაარსის კითხვები დაუსვა, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ.

**მე-4 გადაცემა: 31/01/2023.** ეკა კვესიტაძემ 31 იანვრის გადაცემა მონოლოგის ნაცვლად ანონსით დაიწყო. მთავარი თემა ვაკის პარკში მომხდარი ტრაგედია და პასუხისმგებელ პირთა გამოვლენის საკითხი იყო. წამყვანი ყველანაირად ცდილობს მოწვეულ სტუმარს ის პასუხი ათქმევინოს, რომელიც მისთვისაა მისაღები. მაგალითად, ვაკის პარკში მომხდარ ტრაგედიაზე საუბრისას, რამდენჯერმე აღნიშნა, რომ ეს კალაძის ბრალია - „პოლიტიკური პასუხისმგებლობა უნდა მოვთხოვოთ კალაძეს“, ამის შემდეგ რესპონდენტებს ეკითხება, ვის უნდა მოეთხოვოს ამაზე პასუხი და სთავაზობს ვარიანტებს - „მუშას? შემდუღებელს?“, თუმცა პასუხსაც თვითონ სცემს- „ეჭვი მეპარება“. ბოლოს, რესპონდენტი, ამ შემთხვევაში, ირაკლი ნადირაძე პასუხობს, რომ ვინც იბარებს პროექტს და აწერს ხელს სწორედ ისაა პასუხისმგებელი და კახი კალაძეს ადანაშაულებს.

***მაგალითებით გამდიდრება:*** „ქართული ოცნების პიარკამპანია იმაზეა აგებული, რომ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მოგვაწოდოს და ამ ინფორმაციულ ნაკადში დაგვავიწყდეს მთავარი, რაზეც მათ პასუხი უნდა მოვთხოვოთ. მათ შორის, უმნიშვნელოვანეს დანაშაულებზე“, საუბარია ვაკის პარკში მომხდარ ინციდენტზე. წამყვანი, ფაქტობრივად მოუწოდებს საზოგადოებას, რომ პასუხი მოსთხოვოს ხელისუფლებას. ზემოქმედების მოსახდენად და დარწმუნების ეფექტის გასაძლიერებლად ამატებს:- „ყველაზე აღმაშფოთებელი, ცინიკური და კიდევ არ ვიცი რა ეპითეტი შეიძლება გამოვიყენო, ამ ამბავში ის არის, რომ გრინსერვისი კვლავ იგებს მილიონიან ტენდერებს“. ამით მაყურებლის შეშინებასაც ცდილობს, რომ სიტყვამ ეფექტი მალევე მოახდინოს.

***რიტორიკული კითხვები:*** „როგორ იცილებენ პასუხსმგებლობას ქალაქის პირველი პირები და მათთან დაახლოებული ბიზნესმენები?!“, ეს ერთგვარი ინტრიგაა, წამყვანი მოსახლეობას მიანიშნებს, რომ ვაკის პარკის ტრაგედიაში დამნაშავედ მხოლოდ „უბრალო ადამიანები“ დაისაჯნენ, ნამდვილი დამნაშავეები კი ავტორიტეტებთან კავშირის გამო კვლავ თავისუფლები არიან.

**მე-5 გადაცემა: 7/02/2023.** „გუშინ სასამართლომ მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება, რაც აბსოლუტურად მოსალოდნელი იყო“, ასე დაიწყო ეკა კვესიტაძემ 7 თებერვლის ეთერი და მთელი გადაცემა მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლება-არგათავისუფლების საკითხს დაეთმო.

***განმარტება:*** „სააკაშვილის საქმე- განაჩენი ქეყნის ევროპული მომავლისთვის“, ეს გადაცემის პირველი ბლოკის სახელია. წამყვანი ყველანაირად ცდილობდა მაყურებლის დარწმუნებას იმაში, რომ თუ მიხეილ სააკაშვილს არ გაათავისუფლებენ, ქვეყანა ევროპულ მომავალს გამოემშვიდობება. „ივანიშვილსა და ქართულ ოცნებას რომ უნდოდეს კანდიდატის სტატუსის ქვეყანა პირველი რასაც გააკეთებდა, მიხეილ სააკაშვილისა და ნიკა გვარამიას გათავისუფლება იქნებოდა. ასევე, დანიშნავდა ომბუდსმენს, რომელსაც მხარდაჭერა აქვს ხალხისგან. ხელისუფლებას სტატუსი უნდა მომდევნო არჩევნებისთვის, რომ ჰქონდეს მარტივი წინასაარჩევნო გარემო, ქვეყანა კი სულ არ აინტერესებს“.

***რიტორიკული კიტხვები:*** „უნდა თუ არა ქართულ ოცნებას რომ მივიღოთ კანდიდატის სტატუსი?!“

***მეტაფორა:*** „სალომე ზურაბიშვილმა, ერთი-ერთში აირჩია პილატეს პოზიცია, ხელები დაიბანა და თქვა, მე არაფერ შუაში არ ვარო“, იგულისხმება მიხეილ სააკაშვილის ციხეში დატოვების საკითხი, რომლის განსჯას ასოციაციურად პილატეს მიერ ხალხის განაჩენისთვის განწირულ იესო ქრისტემდე მივყავართ.

***ირონია:*** „სიმართლე ვთქვათ ბოლომდე, საერთოდ სად ვართ?“, „თავისი ჭკუით, ქართული ოცნება, აშანტაჟებს ევროკავშირს“.

**მე-6 გადაცემა: 14/02/2023.** ეთერს წამყვანი შემდეგი სიტყვებით იწყებს:- „სინოდი დასრულდა, მაგრამ პატრიარქი არ გადამდგარა. ბრძოლა ილია მეორის მემკვიდრეობისთვის სრულიად დრამატულ სახეს იღებს“, რაც სარკაზმითა და ირონიით სავსე შინაარსის მატარებელია, ეს არა მხოლოდ ვერბალურ კომუნიკაციაში, მიმიკებშიც გამოიხატა და გაგრძელდა მთელი მონოლოგის განმავლობაში.

**რიტორიკული კითხვები:** „არის თუ არა დღეს საქართველოში ხელოვნება ცოცხალი და დამოუკიდებელი?!“

***განმარტება:*** „გვაინტერესებს საპატრიარქოს კლანებიდან ვინ იბრძვის და ამ კლანებიდან რომელია ყველაზე პრორუსული. სამწუხაროდ, ძალიან ცოტაა ის ადამიანი ვინც რუსული გავლენებისგან თავისუფალია საპატრიარქოში“, წამყვანის ეს განმარტება, გარდა იმისა, რომ პრორუსულობას უსვამს ხაზს, საპატრიარქოს კლანად ისე რაცხავს, რომ ავტორის სუბიექტური აზრი საზოგადო ჭეშმარიტებად აღიქვას მაყურებელმა. „ეს სათაური, ვფიქრობ, ძალიან სიმბოლურია იმ მოკრძალებული პროტესტისთვისაც, რომელიც ხელოვნების წინააღმდეგ წულუკიანის რეპრესიებმა გამოიწვია“- საკითხი შეეხებოდა სანდრო სულაბერიძის პროტესტს კულტურის სამინისტროსადმი. წამყვანი, სიტყვა - „ მოკრძალებულს“ გამიზნულად ახსენებს და ამით სურს მაყურებელი მიახვედროს, რომ ქმედითი ნაბიჯების გადადგმაა საჭირო, თუნდაც მწვავე პროტესტის სახით.

***მეტაფორა:*** „როგორ პასუხობს ქართული საზოგადოება მე-20 საუკუნის 30-იანი წლების რეპრესიების სტილში მოქმედ კულტურის მინისტრს, რომელმაც დანიშვნის დღიდან ჯვაროსნული ლაშქრობა წამოიწყო კულტურის სფეროს მოსათვინიერებლად და დასაჩოქებლად“. ეკა კვესიტაძე ასოციაციურად ცდილობს მაყურებელს გაახსენოს ის დრო, როდესაც რეპრესიებისა და ცენზურის მსხვერპლი საზოგადოება განადგურდა მორალური თვალსაზრისით და მისი მაგალითი წულუკიანის სახით მოჰყავს. რაც შეეხება, ჯვაროსნულ ლაშქრობებს, აქ შესაძლოა კულტურის სფეროში დაწყებული ცვლილებების აბსურდულობა ვიგულისხმოთ, რომელიც არეულობის გარდა არაფერს მოიტანს, რადგან ჯვაროსნული ლაშქრობებიც ასეთივე უმიზნოდ „წმინდა მიწის“ გამოხსნისა თუ

რელიგიური ფანატიზმით ნაკარნახევ ბრძოლად იქცა, რომელმაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

***ირონია:*** „ვისაუბრებთ სინოდის სხდომაზე, რომელსაც მედიამ რატომღაც ისტორიული უწოდა, სინამდვილეში კი ის არანაირად ისტორიული არ არის“. „რაც შეეხება სამხატვრო აკადემიის ხელმძღვანელს, სამარცხვინო არჩევნებში იღებდა მონაწილეობას, თუ შეიძლება ამას საერთოდ არჩევნები ეწოდოს“ გულისხმობს ყარამან ქუთათელაძის სამხატვრო აკადემიის რექტორად დანიშვნას, სადაც მას კონკურენტი არ ჰყოლია და ერთადერთი კანდიდატი იყო. „რა ქვეყანაშიც ვცოვრობთ სწორედ იმისი დამადასტურებელია ეს ეგრეთწოებული არჩევნებიც“, „წულუკიანის სურვილია, მოათვინიეროს კულტურა და დააჩოქოს კულტურის ყველა მუშაკი“, „კედელზე წარწერის გამო საქმე აღძრა იმ კულტურის სამინისტრომ, რომელსაც გელათი თავზე ენგრევა“

**მე-7 გადაცემა: 28/02/2023**. ეთერის მთავარი თემა ავტორიტარიზმი და ავტორიტარად მოხსენებული ბიძინა ივანიშვილი იყო. „რასაკვირველია, ივანიშვილის პუტინისა და სი ძიმპინის გვერდით მოხსენიება უკიდურესად კომიკურია, მაგრამ ავტორიტარი ავტორიტარია და მისი აზროვნება იდენტურია ბირთვული იარაღის მფლობელ ქვეყანას უდგას სათავეში თუ პატარა ქვეყნის სამფლობელოდ გადაქცევა უნდა„. წამყვანი, ამ ტექსტში, ივანიშვილს ადარებს ჩინეთის კომუნისტური პარტიისა გენერალურ მდივანსა და მსოფლიოს ყველაზე დიდი აგრესორის ლიდერს, რაც ბუნებრივია მის დაკნინებას ისახავს მიზნად.

***მაგალითებით გამდიდრება:*** „აგენტების რუსული კანონი მხოლოდ დასაწყისია, ხომ ხედავთ, უკვე ფრიდონ ინჯიას ათქმევინეს, რომ 2008 წლის ომის გამოძიება უნდა დაიწყონ ხვალ კიდევ უარესს მოიფიქრებენ“

***შედარება:***„უსახო მონები ყველაფერზე კვერს დაუკრავენ“, საუბარია ქართულ ოცნებაზე, რომელიც წამყვანის თქმით, ყველა კანონზე აწერს ხელს, რასაც ბიძინა ივანიშვილი უბრძანებს.

***ირონია:*** „ივანიშვილის პარანოია მხოლოდ მის პირად და ფინანსურ უსაფრთხოებას ეხება“, „მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილი დიდი იდეებისგან დაცლილია, ის ავტორიტარების კიდევ ერთ თვისებას, მეგალომანიას ვერ ასცდა“, „გიჟური, პარანოიდული აზრი თუ როგორ მოატყუა ივანიშვილმა მთელი მსოფლიო თავად ივანიშვილს ეკუთვნის“, „ ღარიბაშვილის, კობახიძის, ვინმე ზარქუასა და უამრავი უსახო თუ უსახელო პირის კომიკურობამ შეიტანა წვლილი იმაში, რომ როდესაც მათ უყურებ ფიქრობ, ამათი დამყარებული ავტორიტარიზმი არ გაიშვას“ (იცინის). „ხაინდრავა ივანიშვილის ნათვამს იმეორებს ისე, როგორც უთავმოყვარეო მონა, რომელიც ცდილობს პატრონს ასიამოვნოს.“

**მე-8 გადაცემა: 7/03/2023.** მარტის ეს პერიოდი, პოლიტიკური თავლსაზრისით, უმნისვნელოვანესია. საქმე ეხება, მარტის აქციებსა და უცხოელი აგენტების კანონს, რომელიც ხელისუფლებამ პირველივე მოსმენით მიიღო, თუმცა მოსახლეობამ ყველა ღონეს მიმართა, რომ უცხოელ აგენტთა კანონი, რომელსაც ისინი რუსულად მოიხსენიებდნენ, ქვეყანაში არ ამოქმედებულიყო. გადაცემაც სრულად მოიცვა ამ საკითხმა და მთელი ღამის განმავლობაში „ღამის მთავარი“ მიმდინარე ამბების შესახებ მაყურებელს პირდაპირ ეთერში აწვდიდა ინფორმაციას. წამყვანი, დეა მამისეიშვილთან ერთად მუშაობდა ეთერში, ეკა კვესიტაძე სტუდიიდან, მამისეიშვილი კი აქციიდან ჩართულ სტუმრებთან ერთად განიხილავდა საკითხს.

**მე-9 გადაცემა: 15/03/2023.** მარტის აქციებმა სრულად მოიცვა სატელევიზო სივრცე, რასაც ვერ ვიტყვით ტელეკომპანია „იმედზე“. „ღამის მთავარის“ ეთერი, 15 მარტს გასული კვირის შეჯამება იყო.

***განმარტება:***„მიუხედავად ივანიშვილის მცდელობისა, საზღვრებ ჩაკეტილ ორღობედ გვაქციოს, ისტორია გასულ კვირას რუსთაველის გამზირზე გამოსულმა ხალხმა დაწერა“

***მაგალითებით გამდიდრება:*** „გასულმა კვირამ პოლიტიკურ კლაუსტროფობიაში საკუთარი თავის რწმენა დაგვიბრუნა“ ‘ყველაზე მთავარი, რაც წინა კვირამ მოგვცა არის ღირსების დაბრუნება, რაც ქართულმა ოცნებამ, უფრო სწორად რუსეთის საოკუპაციო ძალების

წარმომადგენლობა ყოველდღიურად გვართმევდა“, „ივანიშვილმა გვითხრა, რომ ერთი პატარა სოფელი ვიყავით, რომელსაც მეტის ამბიცია არც უნდა ჰქონოდა“.

***ირონია:*** „ფრანკლინის კლუბი: ახალი აგენტი და ახალი სამიზნე აღმოაჩინა ქართულმა ოცნებამ“ (იცინის), „ქართულ ოცნებას თუ დასჭირდა ტამპლიერების ორდენსაც კი დააბრალებს რამეს“, „ივანიშვილი, როგორც აზროვნებით ჭეშმარიტი რუსი“, „დღეს, ოკუპაციის რეჟიმის წარმომადგენელი, კობახიძე გაცრეცილი სახით აბრალებდა სტუდენტებს ათას სისულელეს“.

## ძირითადი მიგნებები

ჩატარებული კვლევის ფარგლებში, შემდეგი მიგნებები გამოვლინდა:

- წამყვანები საკუთარი აზრის გამოსახატავად ხშირად იყენებენ ციტირებისა და ეგრეთწოდებული ავტორიტეტების დამოწმების ხერხებს.
- საავტორო გადაცემებში წამყვანები საკუთარი პოლიტიკური პრიზმიდან განიხილავენ საკითხებს.
- თითოეული არხის საავტორო გადაცემის წამყვანი დაუფარავად ავლენს ირონიულ და სარკასტულ დამოკიდებულებას.
- საკვლევ ობიექტებად შერჩეული 3 გადაცემიდან „გიორგი თარგამაძის ფორმულა“ კორექტულობითა და შეფარვითი ირონიით გამოირჩევა.
- წამყვანები ალტერნატივებსა და მოვლენების სავარაუდო განვითარებას განიხილავენ, როგორც უკვე არსებულ მოცემულობას.
- საავტორო გადაცემებში წამყვანები დიდ დროს უთმობენ მონოლოგს, სადაც პირდაპირ თუ ირიბად საკუთარ აზრს უზიარებენ მაყურებელს.

# დასკვნა

კვლევის მიზანი იყო, პასუხი გაგვეცა საკვლევ კითხვებზე და მათი მეშვეობით მოგვეხდინა ირონიული ფრეიმების იდენტიფიცირება, რომელთაც თითოეული საავტორო გადაცემის წამყვანი მაყურებელთან კომუნიკაციისას იყენებს. კვლევის ფარგლებში გამოყენებულმა კონტენტ-ანალიზმა და რიტორიკულმა ანალიზმა შესაძლებლობა მოგვცა საკვლევ კითხვებზე გაგვეცა პასუხი.

კვლევისთვის შეირჩა სამი რეიტინგული არხი, „მთავარი“, „იმედი“ და „ფორმულა“. ასევე, მათი რეიტინგული საავტორო გადაცემები - „ღამის მთავარი“, „იმედის კვირა“ და „გიორგი თარგამაძის ფორმულა“. 2023 წლის 1-ელი იანვრიდან, 31 მარტის ჩათვლით, საკვლევ ობიექტებად შერჩეული ტელევიზიებიდან, 32 გადაცემა ვიკვლიეთ რიტორიკული ანალიზის მეშვეობით. გადაცემებში განხილული ძირითადი თემები შეეხებოდა კვლევის პერიოდში გამოკვეთილ აქტუალურ საკითხებს, კერძოდ: პოლიტპატიმრების თემასა და მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდომარეობას, მედიაში ყველაზე მეტი გამოხმაურება მოჰყვა. მაგალითად, ირაკლი ჩიხლაძეს თითოეულ გადაცემაში ამ საკითხისთვის გვერდი არ აუვლია და თითქმის ყველა ეთერში საუბრობდა ყოფილ პრეზიდენტზე. შემდეგი თემა, რომელიც ასევე ყველაზე განხილვადი იყო, შეეხებოდა „ნაციონალურ მოძრაობას“ - მათ შიდაპარტიულ არჩევნებს, განხეთქილებას პარტიასა და ოპოზიციაში. დაკვირვების ქვეშ მყოფი თითოეული მედიასაშუალება მისთვის მისაღებ აქცენტებს სვამდა და პროცესებსაც შესაბამისად განიხილავდა. ბოლო და ყველაზე აქტუალური კი ევროპული მომავალი, მარტის აქციები და აგენტების უცხოური კანონი იყო, რასაც არა მხოლოდ მედიაში, არამედ საზოგადოებაშიც დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

აღსანიშნავია, რომ დასახელებული სამი საავტორო გადაცემიდან, 2- „ღამის მთავარი“ და „გიორგი თარგამაძის ფორმულა“ იყვნენ მეტად კრიტიკულები ხელისუფლებისადმი. გასათვალისწინებელია, რომ „ღამის მთავარში“ ეკა კვესიტაძე ხშირად აკრიტიკებდა „ნაციონალურ მოძრაობას“, მოწვეულ სტუმრებს ირონიულ კითხვებს უსვამდა და ოპოზიციის წარმომადგენლებსაც პირდაპირ სდებდა ბრალს ამა თუ იმ საკითხში. რაც შეეხება „იმედის კვირას“, მათი კრიტიკა მიმართული იყო ხელისუფლების

ოპონენტებისადმი და არა მხოლოდ. ირაკლი ჩიხლაძე ევროპარლამენტარებსაც კი მოიხსენიებდა ირონიულ კონტექსტში. რიგ შემთხვევებში, ეს კრიტიკული და ირონიული ტონი იმდენად მწვავე სახეს იღებდა, რომ ევროპარლამენტართა მიერ მიღებულ რეზოლუციას წამყვანმა საცირკო წარმოდგენაც კი უწოდა. აღსანიშნავია წამყვანის დამცინავი და სიძულვილის ენით სავსე გამოხმაურება მარტის აქციებისადმი. ირაკლი ჩიხლაძე ეთერში დაზარალებული ხალხის ჩვენების ნაცვლად უჩვენებს ქუჩებს, დამწვარ მანქანას, პოლიციელებზე თავდასხმას და საკითხს ისე ფუთავს, თითქოს საზოგადოება დაესხა თავს ხელისუფლებას და არა პირიქით. უშუალოდ ირონიულ-სარკასტული დამოკიდებულების თვალსაზრისით, ფაქტობრივად, არცერთი გადაცემა და ბლოკი არ ჩაუტარებიათ წამყვანებს ისე, რომ საკუთარი ირონიულ- სარკასტული დამოკიდებულება არ წარმოეჩინათ მაყურებლისთვის.

რიტორიკული ანალიზით მიღებულ შედეგებს გაგაცნობთ თითოეული გადაცემის მიხედვით, რომლებიც საკვლევ კითხვებზე დაყრდნობით შეჯამდა. „იმედის კვირაზე“ საუბრისას, თამამად შეიძლება ითქვას, რომ წამყვანი ვერბალური კომუნიკაციისას გამოირჩევა მიზანმიმართული სარკასტული თუ ირონიული ტონით, რაც ძირითადად ოპოზიციური პარტიებისკენაა მიმართული და მათ ცილისწამებას, დადანაშაულებას თუ საზოგადოების თვალში რეპუტაციის შელახვას ისახავს მიზნად. გადაცემის მნიშვნელოვანი ნაწილი დათმობილია ირაკლი ჩიხლაძის სუბიექტური აზრისთვის, რომ საზოგადოებაზე მოახდინოს გავლენა, აღნიშნულს კი სხვადასხვა რიტორიკული ხერხებით ცდილობს. ყველაზე ხშირად იყენებს ირონიასა და დამცინავ ტონს, რიგ შემთხვევებში გამოირჩევა პირდაპირობით, თუმცა უპირატესობას ანიჭებს მეტაფორებით, ალეგორიული გამოთქმებითა თუ შედარებებით საუბარს, რაც მაყურებელზე ზემოქმედების ეფექტს ერთი-ორად ზრდის. პრობლემებია ეთიკურობის თვალსაზრისითაც, ირაკლი ჩიხლაძე ხშირად იყენებს ისეთ სალანძღავ სიტყვებსა და გამოთქმებს, როგორებიცაა, „სახედაკარგული პარტია“, „აბა ხაბეიშვილს სად აქვს იმდენი ტვინი რამე გაიაზროს“, „აფერისტი პრეზიდენტი“ და სხვა. აღნიშნული, სატელევიზიო სივრცისთვის შეუსაბამოა, ამას წამყვანი ხელისუფლების გასაკრიტიკებლად კი არა, მის ოპონენტთა დასაკნინებლად

აკეთებს, რაც მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-8 თავში მოცემული 29-ე მუხლით რეგულირდება და დაუშვებელია.

„ღამის მთავარის“ შემთხვევაში მდგომარეობა თითქმის იდენტურია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ წამყვანი პროოპოზიციურადაა განწყობილი და რიგ შემთხვევაში, ერთნაირად აკრიტიკებს, როგორც ხელისუფლებას, ისე მათ ოპონენტებს. ეკა კვესიტაძე გამოირჩევა პირდაპირობით, ხშირად მიმართავს სარკაზმსა და ირონიას, ან რიტორიკულ ხერხთაგან შედარებასა თუ მაგალითებით გამდიდრებას, მაგრამ ეს ყველაფერი არასდროსაა შეფარვითი. ის პირდაპირ და მწვავედ აკრიტიკებს ხელისუფლების წამომადგენლებს, არ ერიდება მათთვის სახელდობრ მიმართვას, დამნაშავისა თუ პრორუსის სახელით მოხსენიებას და ქილიკს. წამყვანი ხშირად სვამს რიტორიკულ კითხვებს, რომლებზე პასუხსაც ფორმალურად ითხოვს. თითოეული ხერხი თუ სიტყვა კი ხელისუფლების გასაკრიტიკებლადაა გამოყენებული, ბუნებრივია, სუბიექტური შეხედულებიდან და არხის სარედაქციო პოლიტიკიდან გამომდინარე. ეთიკის თვალსაზრისით, წამყვანების ვერბალურ კომუნიკაციაში საკვლევ გადაცემათაგან ყველში შეინიშნება არაეთიკურობის მაგალითები.

ბოლო საავტოორო გადაცემა, „გიორგი თაგამაძის ფორმულაა“, რომელიც დახვეწილი რიტორიკული მაგალითებით გამოირჩევა. ავტორის ედიტორიალი სრულიადაა მორგებული „ვამბობ სხვას, ვგულისხმობ სხვას“ პრინციპს. გიორგი თარგამაძე, ისე კორექტულად ლანძღავს ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომ ერთხელაც არ ახსენებს მათ სახელებს. ამისთვის ის იყენებს, ალეგორიას, მეტაფორას, ირონიას, მეტონიმებსა და თვით ვიზუალურ მასალასაც კი. მაგალითად, დეკანოიძეს უწოდებს განდგომილს, გვიჩვენებს ანონსს, სადაც სწორედ ამ სიტყვის ჩვენებისას ჩანს ადრესატი და გადადის შემდეგი პოლიტიკოსისი ეპითეტებით შემკობაზე. წამყვანი გადაცემას სუბიექტური აზრის გადმოსაცემად იყენებს, რაც საკუთარი პოლიტიკური შეხედულების დასაფიქსირბელადაა გამოყენებული. ეთიკური თვალსაზრისით შედარებით უკეთესად პოზიციონირებს ვიდრე წინა ორი საკვლევი პოპულაცია და ყველა სიტყვა, რომელსაც ამბობს, ხელისუფლების გასაკრიტიკებლადაა ნათქვამი.

რაც შეეხებათ გადაცემის სტუმრებს: ირაკლი ჩიხლაძის საავტორო გადაცემა რეპორტაჟებისა და წამყვანის მონოლოგებისგან შედგება. ერთადერთი გამონაკლისი, 12 მარტის ეთერია, სადაც წამყვანმა ფორმატი შეცვალა და სტუმრად ირაკლი ღარიბაშვილი მიიწვია. „ღამის მთავარისა“ და „გიორგი თარგამაძის ფორმულას“ შემთხვევაში, სტუმრები ან ხელისუფლების ოპონენტები არიან, ან ის ადამიანები, რომელთაც პროოპოზიციური შეხედულებები აქვთ. ზემოხსენებულ გადაცემებში სტუმრის რანგში არ ყოფილან ხელისუფლების წარმომადგენლები. ეს შესაძლოა პოლარიზებული მედიისა და გარემოს ბრალეულობად მივიჩნიოთ, სადაც პოლიტიკოსები სარედაქციო პოლიტიკის მიხედვით ირჩევენ ტელემედიებსაც.

გადაცემათა თემატიკის კატეგორიებად დაყოფისას, გამოიკვეთა, რომ ეთერში ყველაზე ხშირად საუბრობენ მიხეილ სააკაშვილზე, „ნაციონალურ მოძრაობასა“ და შიდაპარტიულ არჩევნებზე, საპარლამენტო კანონმდებლობასა და ევროპაში ჩვენი ქვეყნის მომავალზე. ყველაზე ნაკლები ყურადღება კი ეკონომიკურ კრიზისსა და საზოგადოებას ექცევა.

## რეკომენდაციები

კვლევის შედეგებისა და ანალიზის მიხედვით შემდეგი რეკომენდაციების ჩამოყალიბებაა შესაძლებელი:

- ✓ **ბალანსის დაცვა**

  აუცილებელია, საავტორო გადაცემებში, ორივე მხარე იყოს მიწვეული და თითოეულ მათგანს ჰქონდეს აზრის დაფიქსირების შესაძლებლობა.

- ✓ **ეთიკური ნორმების დაცვა**

  წამყვანი ვალდებულია დაკისრებული მოვალეობა პირნათლად შეასრულოს და თუნდაც, მწვავე თემების გაშუქებისას დაიცვას ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტები.

- ✓ მაშინ, როდესაც ქვეყანაში პოლარიზაციის თვალსაზრისით მძიმე მდგომარეობაა, მნიშვნელოვანია მედია მაინც მოერიდოს საზოგადოებაში სიძულვილის ენის გამოყენებას, გადამეტებულ სარკასტულ და ირონიულ დამოკიდებულებას. მედიის სამეტყველო ენა მარტივად მკვიდრდება საზოგადოებაში, „მედია ზრდის მისსავე მაყურებელს“. ამიტომ, უმჯობესია, ეთიკური და ნეიტრალური ლექსიკის გამოყენება.
- ✓ კითხვები უნდა დაისვას რესპონდენტებისთვის და არა მხოლოდ კითხვა-კითხვისთვის, რომელიც ჟურნალისტისთვის საზოგადოებაზე ზემოქმედების საშუალება გახდება.
- ✓ საავტორო გადაცემათა წამყვანები უნდა მოერიდონ მათი პოლიტიკური შეხედულებების საჯაროდ დემონსტრირებას და ეცადონ იყვნენ ნეიტრალურები.

ზემოხსენებული რეკომენდაციები მიღებულია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიისა და მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მოთხოვნათა თუ მითითებათა გათვალისწინებით. სწორედ, მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-8 თავი - „მაუწყებელთა სარედაქციო დამოუკიდებლობა“ და ამავე თავის 29-ე მუხლი „მაუწყებლის სარედაქციო დამოუკიდებლობისადმი წაყენებული მოთხოვნები“, ტელევიზიის თანამშრომლებს ავალდებულებს გაემიჯნონ რომელიმე პოლიტიკური პარტიის ან პოლიტიკოსის საჯარო მხარდაჭერას. კოდექსის სხვა მუხლები მაუწყებლებს უკრძალავს მიმდინარე პოლიტიკური საკითხების პირადი მოსაზრებისა და დამოკიდებულების საფუძველზე გაშუქებას, თითოეულ მათგანს ავალდებულებს დაიცვან ბალანსი, ეთიკური სტანდარტები და საზოგადოებას მიაწოდონ ზუსტი ინფორმაცია. აღნიშნულზე დაწვრილებითი ინფორმაცია, წინამდებარე კვლევის, პირველ თავშია მოცემული (გვ. 15-16).

# ბიბლიოგრაფია


არისტოტელე. (1981). რიტორიკა. ძველბერძნულიდან თარგმნა შესავალი და საძიებო დაურთო თ. კუკავამ. თბილისი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ეთიკურად გაშუქების სახელმძღვანელო ჟურნალისტებისთვის. ნაწილი 1. (2016). თბილისი. ჟურნალისტური ეთიკის ქარტია.

ეთიკურად გაშუქების სახელმძღვანელო ჟურნალისტებისთვის. ნაწილი 2. (2017-2018). თბილისი. ჟურნალისტური ეთიკის ქარტია.

იბერი, ე. (2016). საქართველოს ტელევიზიის ისტორია. თბილისი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კიკაბიძე, მ. (2015). ტელევიზიის ზეგავლენა და ინტერაქტიული ურთიერთობა მაყურებელთან. თბილისი. შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი. http://www.tafu.edu.ge/files/pdf/Disertacia/maia-kikabidze-disertacia.pdf

მსხილაძე, გ. (2005). ირონია როგორც გერმანული რომანტიზმის ძირითადი ესთეტიკური კატეგორია. თბილისი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. https://digitallibrary.tsu.ge/book/2022/Feb/dissertations/msxiladze_disertacia.pdf

მაუწყებელთა ქცევის კოდექსი. (2009). თბილისი. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია. https://matsne.gov.ge/ka/document/view/82792?publication=0

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები. 2009. თბილისი. ჟურნალისტური ეთიკის ქარტია.

https://www.qartia.ge/ka/mthavari-gverdis-aikonebi/article/30513-preambula

ქენქაძე, ი. (2014). ირონიის აღქმისა და დეკოდირების ფსიქოლინგვისტური და პრაგმატიკული პარამეტრები. თბილისი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ჯალაღონია, ნ. (2016). ირონია, როგორც კომიკურის აქტუალური ფორმა („დათბობის“ პერიოდის ქართულ ბელეტრისტიკაზე დაყრდნობით“). თბილისი. სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ჰეივუდი. ე. (2007). „პოლიტიკა“. თბილისი. საქართველოს მაცნე.

Garmendia, J. (2018). *Irony*. Cambridge: Cambridge University Press. https://www.cambridge.org/core/books/abs/irony/sarcasm-and-humour/76A1988421E32D91E27B06EB347B8ACD

Medhurst M. J. & Benson T. W. (1984). *Rhetorical dimensions in media : a critical casebook*. Kendall/Hunt Pub.

Mass communication theory, Framing Theory https://masscommtheory.com/theory-overviews/framing-theory/?fbclid=IwAR2ZCTmGfe1SSJBrHQ6Dld-37-gkq5DceaQL1Pr7RjWklS-ADkZDaDaAPNI

Nails, Debra and S. Sara Monoson. *"Socrates".(Summer 2022 Edition).* The Stanford Encyclopedia of Philosophy. https://plato.stanford.edu/entries/socrates/

Parry, Richard and Harald Thorsrud. *"Ancient Ethical Theory".* (Fall 2021 Edition). The Stanford Encyclopedia of Philosophy. https://plato.stanford.edu/entries/ethics-ancient/#Socr

Vlastos, G. (1991). *Socrates: Ironist and Moral Philosopher*. Cambridge: Cambridge University Press.

https://www.cambridge.org/core/books/socrates/279E054085B1AF468811BFDD4B52E651#fndtn-information